# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№36 (10039) 2026 წლის 27 მარტი, პარასკევი


## „ჩამოსახრჩობად“ განწირული გველები

# წარმოუდგენელია სააკაშვილის, გვარამიას, ბოკუჩავას და სხვა აკაცუკების სიბილწის ხარისხი



იხ. 3 გვ.




## ტრამპმა BBC-ს ჭკუა ასწავლა

**აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის განცხადებით, BBC-ს ჭკუის სწავლება სჭირდებოდა,** – ინფორმაციას The Telegraph-ი ავრცელებს.

აღნიშნული განცხადება თეთრი სახლის ლიდერმა მას შემდეგ გააკეთა, რაც ცნობილი გახდა, რომ ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორად კომპანია Google-ის ყოფილი მმართველი მეტ ბრიტინი დაინიშნა. როგორც გამოცემა წერს, BBC-ის ახალ დირექტორს ტრამპთან 7,5 მილიარდი გირვანქა სტერლინგის ოდენობის სასამართლო დავის მოგვარება მოუწევს. საუბარია 2024 წელს BBC-ის ეთერში გასულ გადაცემა Panorama-ზე, სადაც ტრამპი თითქოს და ახალისებს 2021 წლის 6 იანვარს კაპიტოლიუმზე შტურმის მონაწილეებს. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ გადაცემაში გასული ტრამპის გამოსვლა დამონტაჟებული და გაყალბებული იყო.

**„მათ მე მათქმევინეს წინადადებები და აბზაცები, რომელიც სინამდვილეში არ მითქვამს. ეს ძალიან საშინელი იყო. ამიტომ, ჩვენ მათ სასამართლოში ვუჩივლეთ და მათ აღიარეს დანაშაული. გჯერათ, რამდენად სამართლიანები არიან? ახლა კითხვა ისაა, თუ რამდენს მივიღებ კომპენსაციის სახით“,** – თქვა ტრამპმა.

**„მათ დასკვნები უნდა გამოიტანონ, იმიტომ, რომ ისინი უსამართლოები არიან. ისინი უსამართლო ადამიანები არიან“,** – დასძინა ტრამპმა BBC-ზე და თავის სარჩელზე საუბრისას.

## ჯო უილსონი: თუ ირანთან გამარჯვება გსურთ, ჯერ „ქართული ოცნება“ უნდა დაამარცხოთ!




4

# საქართველოში ბომბები არ ცვივა, მაგრამ ბრძოლები არანაკლებ მწვავეა!..

## ბაგრატიონები – სამეფო სახლი, რომლის სისხლი ქართული ისტორიის ფურცლებიდან მოედინება...

7

## კრემლი არჩევნებს ითხოვს




8

## ვალოდია ზელენსკის საკუთარი პარტია დაუპირისპირდა



5

## ზემოქმედება გაგრძელდება და შემდეგი პროცესი იქნება ვიზების გაუქმება!..

## უცხოელები ქართველთა სილამაზის შესახებ




8

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

საქართველოს რესპუბლიკა

# იმედი ყველაზე ბოლოს კვდება!



## ამერიკა–საქართველო:

# ნამდვილი სტრატეგიული პარტნიორობა, სავარაუდოდ, მალე განახლდება



**იყო არაერთი კომუნიკაცია ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში. ეს ყველაფერი გვინარჩუნებს ოპტიმიზმს იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებელი გახდება სტრატეგიული პარტნიორობის განახლება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის,** – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** გუშინ განაცხადა.

**„ვინარჩუნებთ ამ ოპტიმიზმს და ჩვენი მხრიდან კიდევ ერთხელ გამოვხატავთ მზაობას, რომ ყველაფერი გავაკეთოთ სუფთა ფურცლიდან და გზამკვლევით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, კონკრეტული გზამკვლევით. მანამდე არსებობდა სტრატეგიული პარტნიორობა, თუმცა ეს იყო მთლიანად ქაღალდზე. სტრატეგიული პარტნიორები ვიყავით ქაღალდზე, არ იყო არც რაიმე კონკრეტული შედეგები, ხელშესახები შედეგები, არც ეკონომიკის კუთხით, არც ვაჭრობის კუთხით, არც პოლიტიკური კუთხით, პირიქით, ზუსტად ამ პერიოდში, როცა ჩვენ ჯერ კიდევ გვქონდა სტრატეგიული პარტნიორობა, წინა ადმინისტრაცია საქართველოში გვიწყობდა რევოლუციებს. ეს იყო სტრატეგიული პარტნიორობა.**

**ჩვენ გვინდა რეალური სტრატეგიული პარტნიორობა და ამიტომ ვამბობთ ამას, რომ სუფთა ფურცლიდან უნდა დავიწყოთ საუბარი და კონკრეტული გზამკვლევი უნდა გვქონდეს, სადაც ორივე მხარის ინტერესები იქნება ასახული. პოლიტიკა არის პრაგმატული მოვლენა. ორი ქვეყანაა, ორივეს აქვს თავისი ინტერესები და ეს ინტერესები უნდა დაბალანსდეს და ეს დაბალანსებული ინტერესები უნდა იყოს ასახული სტრატეგიული პარტნიორობის განახლებულ შეთანხმებაში. ამაზე ვსაუბრობთ ჩვენ საჯაროდ, დახურულ კარს მიღმა. კიდევ ერთხელ, ვინარჩუნებთ ოპტიმიზმს, რომ ეს ყველაფერი გახდება შესაძლებელი. ჩვენთვის ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. კიდევ ერთხელ შეგვიძლია, ეს საჯაროდ ვთქვათ.**

**ერთადერთი კონკრეტული კრიტერიუმია ჩვენთვის, რომელიც იმის დასტური იქნება, რომ გადავდივართ ახალ ეტაპზე ჩვენი ურთიერთობების, ეს არის სტრატეგიული პარტნიორობის განახლება, ეს არის ერთადერთი კრიტერიუმი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ. ეს არ უნდა იყოს ქაღალდზე რაღაც დოკუმენტის გაფორმება, ეს უნდა იყოს რეალური ხელშესახები შედეგების მქონე სტრატეგიული პარტნიორობა, მთლიანად ამაზე ვართ კონცენტრირებული და ამას ვამბობთ ღიად, საჯაროდაც და დახურულ კარს მიღმაც ჩვენს ამერიკელ პარტნიორებთან, რომ ერთადერთი კრიტერიუმი ჩვენთვის, რაც მიგვანიშნებს ურთიერთობების რეალურ გადატვირთვაზე, არის სტრატეგიული პარტნიორობის განახლება და იმედი გვაქვს, რომ ეს მოხდება. ჩვენ ამისათვის გავაკეთებთ ყველაფერს“!**

## მარკ რუტე:

# ურთიერთობის გაწყვეტას დიალოგის გაგრძელება სჯობს

ნატოს გენერალურ მდივანს დაუსვეს კითხვა, **„რა შეიცვალა საქართველოსთან ნატოს ურთიერთობაში 2024 წლის არჩევნების შემდეგ, ასევე, როგორ აფასებს ნატო საქართველოში მედიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციის წინააღმდეგ მიღებულ კანონებს, პოლიტიკური ლიდერების დაპატიმრებებს?“.**

**„ნატო-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებით, მიგვაჩნია, რომ ამ ურთიერთობის გაგრძელება მიზანშეწონილია. თუმცა, რა თქმა უნდა, უნდა ვაღიაროთ ბოლო პერიოდის განვითარებებიც – სწორედ ამიტომ მოვუწოდებთ საქართველოს, დაუბრუნდეს უფრო პროევროპულ, მომავალზე ორიენტირებულ კურსს, მათ შორის უზრუნველყოს, რომ დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის კუთხით, გაგრძელდეს ის ტრაექტორია, რომელზეც საქართველო იმყოფებოდა. ამ მხრივ, ამჟამად სერიოზული შეშფოთება არსებობს. ჩვენ გვაქვს დიალოგი, განხილვა, მაგრამ დავიკავეთ პოზიცია, რომ უმჯობესია, ურთიერთობა გავაგრძელოთ და გვქონდეს ეს საშუალება საკითხების განსახილველად, ვიდრე ვთქვათ – არ მოგვწონს და ურთიერთობა სრულად გავწყვიტოთ“,** – აღნიშნა **მარკ რუტემ.**

ნატოს გენერალურმა მდივანმა ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოზეც არის საუბარი. 2025 წლის ანგარიშში საქართველო რამდენჯერმეა ნახსენები და აღნიშნულია, რომ ქვეყანა ალიანსის თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარების ინიციატივის (DCB) ფარგლებში დახმარებას იღებს.

ასევე აღნიშნულია, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და მისი შემდგომი მოვლენების ფონზე მოკავშირეებმა ნატოს საქართველოსთან ჩართულობა განიხილეს.

**„მოკავშირეებმა ასევე გადახედეს ნატოს ჩართულობას საქართველოსთან მიმართებით 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე დაყრდნობით. შედეგად, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის გარკვეული მიმართულებები გადახარისხდა და პრიორიტეტები ხელახლა განისაზღვრა, მათ შორის, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ზოგიერთი ნაწილი. ამასთან, საქართველოს თავდაცვის ძალებთან თანამშრომლობა გრძელდება და ვითარდება, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა მაისში ჩატარებული წარმატებული ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნით. თბილისში მდებარე ნატოს სამეკავშირეო ოფისი აგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას სამხრეთ კავკასიის სამივე პარტნიორ ქვეყანასთან“,** – აღნიშნულია გავრცელებულ დოკუმენტში.

# 13 აპრილიდან ეუთოს უსაფრთხოებისთვის თანამშრომლობის ფორუმის თავმჯდომარე ქვეყანა საქართველო გახდება

**2026 წლის 13 აპრილიდან, საქართველო გახდება ეუთოს უსაფრთხოებისთვის თანამშრომლობის ფორუმის (FSC) თავმჯდომარე ქვეყანა,** – ინფორმაციას ამის შესახებ ავსტრიაში საქართველოს საელჩო ავრცელებს.

საელჩოს ცნობით, 25 მარტს, საფრანგეთის თავმჯდომარეობის ბოლო სხდომის ფარგლებში, გაიმართა საქართველოსთვის თავმჯდომარეობის სიმბოლურად გადაბარების ცერემონია.

**„საქართველო უსაფრთხოებისთვის თანამშრომლობის ფორუმს უხელმძღვანელებს 4 სექტემბრამდე, რის შემდეგაც თავმჯდომარეობას გადაიბარებს გაერთიანებული სამეფო. უსაფრთხოებისთვის თანამშრომლობის ფორუმი წარმოადგენს ეუთოს მთავარ გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოს, რომლის ძირითადი მიზანია ეუთოს ფარგლებში უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა“,** – ნათქვამია საელჩოს გავრცელებულ ინფორმაციაში.

# სიტყვაც, საქმეც!

## აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე 2700 ბავშვს სამკურნალოდ 13 მილიონი ლარი გამოეყო

**ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის“ ფარგლებში, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შედგენილი კომპლექსური თერაპიის სეანსები აპრილიდან 2 700 ბავშვს და მოზარდს დაუფინანსდება. პროგრამის ბიუჯეტი, დაახლოებით, 13 000 000 ლარია და ბავშვსა და მოზარდზე მორგებული ინდივიდუალური გეგმით განსაზღვრული, მინიმუმ ერთსაათიანი 20 სეანსი ფინანსდება. დღეისთვის პროგრამას 15 ცენტრი ემსახურება.**

პროგრამის დაწყების დროისთვის, 2015 წლის ივლისში, პროგრამაში სერვისის მიმწოდებელი ორი დაწესებულება და 325 ბავშვი იყო ჩართული, ხოლო ბიუჯეტი, დაახლოებით, 500 000 ლარს შეადგენდა. ასევე მოიმატა ერთი ბენეფიციარის დაფინანსების ოდენობამ. გარდა ამისა, მერიის პროგრამის ფარგლებში, თერაპიული სეანსები თავიდან მხოლოდ 2-დან 14 წლის ასაკის ბავშვებს უფინანსდებოდათ, დარგის სპეციალისტებთან და შესაბამისი ასოციაციების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად, მერიამ 2018 წლიდან პროგრამაში ჩართული მოზარდების ასაკი 18 წლამდე გაზარდა.

* * *

**კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროგრამის ფარგლებში, ერთ-ერთ პროექტზე ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ კომპანია „ჯაოკენ ბილდინგს“ კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებული მოქალაქეებისთვის საცხოვრებელი კორპუსი ისნის რაიონში, მახათას მთის მიმდებარედ უნდა აეშენებინა, თუმცა გამოიკვეთა პრობლემები, რამაც არ მოგვცა იქ პროექტის განხორციელების შესაძლებლობა.**



თბილისის მთავრობის სხდომა

რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგად, განისაზღვრა კონკრეტული ალტერნატიული ადგილი – სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა N12-ში, სადაც უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მშენებლობისთვის საჭირო ყველა წინაპირობა. აღნიშნული პროექტი მასშტაბურია, რადგან საცხოვრებელი ფართებით 158 დაზარალებული ოჯახი დაკმაყოფილდება. პროექტი განხორციელდება მკაცრად განსაზღვრული ვადების შესაბამისად და თითოეული დაზარალებული მოქალაქე ეტაპობრივად მიიღებს კუთვნილ საცხოვრებელ ფართს.

საბურთალოს რაიონში, მდინარე დიღმურაზე, თეთრი დუქნის ქუჩაზე მდებარე საავტომობილო ხიდის დემონტაჟი და ახალი ხიდის მშენებლობა იწყება. სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა დეტალურმა კვლევებმა აჩვენა, რომ არსებული ხიდის კონსტრუქციული მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დაზიანებული და რეაბილიტაციას არ ექვემდებარება. ხიდი სოფელ დიღომს ვაშლიჯვრის დასახლებასთან აკავშირებს. ის სამმალიან ლითონის საავტომობილო ხიდს წარმოადგენს, რომლის სიგრძე 64 მეტრია. პროექტის ღირებულება ოთხ მილიონ ლარს შეადგენს. სამუშაოებს თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური უახლოეს პერიოდში დაიწყებს და, დაახლოებით, ხუთი თვის ვადაში დაასრულებს. სამუშაოების წარმოების პროცესში, ხიდის სამშენებლო არეალში საავტომობილო მოძრაობა სრულად შეიზღუდება. გადაადგილების სქემასთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას საზოგადოებას მოგვიანებით მივაწვდით.

* * *

**თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსის თანამდებობას ლევან მესხია დაიკავებს. მას საჯარო სამსახურებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, რაც მერიას და ქალაქს სასიკეთოდ წაადგება. ლევან მესხია სპეციალობით სამართალმცოდნეა.**



იგი დღემდე საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილე იყო, მანამდე კი შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“. გარდა ამისა, აქვს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გამომდინარე იქიდან, რომ ეს მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაა, კვალიფიციური კადრის არსებობა სამსახურის ეფექტიანად მუშაობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. მინდა, წარმატებები ვუსურვო ლევან მესხიას მომავალ საქმიანობაში, აუდიტის სამსახურის ყოფილ ხელმძღვანელს გიორგი ხვედელიძეს კი მადლობა გადავუხადო პროფესიონალიზმისთვის და ჩვენს უწყებაში გაწეული შრომისთვის.

## „ჩამოსახრჩობად“ განწირული გველები

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, დეკანოზ ანდრია ჯაღმაიძის განცხადებით, სამგლოვიარო დღეებში, პოლიტიკური მოტივით სხვადასხვა ცრუ ინფორმაცია ვრცელდებოდა, რაც საზოგადოებაში დაპირისპირების საგანი ხდებოდა. მისი თქმით, ძალიან ბევრი ადამიანი დარჩა, ვინც პატრიარქის პანაშვიდზე ვერ შეძლო მისვლა, მიუხედავად იმისა, რომ 24 საათის განმავლობაში, ღია იყო სამების ტაძარი და ხალხის ნაკადი არ წყდებოდა, თუმცა პატრიარქის საფლავზე მისვლა ყველას შეუძლია.



# წარმოუდგენელია სააკაშვილის, გვარამიას, ბოკუჩავას და სხვა აკაცუკების სიბილწის ხარისხი

„ამ დღეების განმავლობაში, საკამათო თემების ძალით მოძიება ხდებოდა, რათა ხელოვნურად მომხდარიყო მოსახლეობის დაყოფა მხარეებად. ნუ აჰყვებით მსგავს თემებს, როგორც მგლოვიარე ოჯახი არ აჰყვება წვრილმანებს. ეს იქნება ჩვენი პატივის მიგება პატრიარქისადმი, რომ მეორად თემებს, რომლებსაც მხოლოდ განხეთქილება მოაქვს საზოგადოებაში, ნუ აჰყვებით. რაიმე საეჭვო ინფორმაცია თუ გავრცელდება, გადაამოწმეთ ოფიციალურ წყაროსთან. მუდმივად მზად ვართ, რომ რეალობა მოგაწოდოთ და აგიხსნათ“, – განაცხადა **ანდრია ჯაღმაიძემ.**

მილიონ ნახევარზე მეტი ქართველი იდგა რიგში, რომ პატივი მიეგო საქართველოს პატრიარქის ხსოვნისთვის. ამ რიგში არ იდგნენ რადიკალური ოპოზიციის ლიდერები, მათ შორის არც ექსპრეზიდენტები, მიზეზი კი თავად განმარტეს – მოსაწვევი არ მიუვიდათ, ანუ ხელისუფლებამ და საპატრიარქომ ისინი არ დაპატიჟა პატრიარქის დაკრძალვაზე. ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კი შეკრებილ მოსახლეობას ფარისევლები უწოდა.

**„გასვენებაში იყო ფარისევლების შემოსევა. ბიძინა ივანიშვილს ორი ადამიანი – პატრიარქი და მე ვეზიზღებოდით. პატრიარქი განსაკუთრებით – ივანიშვილი საუბარს ყოველთვის იწყებდა და ამთავრებდა პატრიარქის ლანძღვით. პატრიარქს ბოლო წლები ივანიშვილმა ჯოჯოხეთად უქცია. ჯერ ე.წ. „ციანიდის“ სკანდალი აუგორეს, რომელიც სპეცოპერაცია იყო. ამ ამბის შემდეგ, პატრიარქი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა.**

**ივანიშვილმა საპატრიარქოში დაუნიშნა მაყურებელი. შემდეგ იყო „კრებსების“ სკანდალი, სადაც აღმოჩნდა, რომ პატრიარქს უსმენდნენ, ეს წარმოუდგენელია. ჩემს დროს სპეცსამსახურები ახლოს არ ეკარებოდნენ და უკიდურესად ფრთხილები იყვნენ ეკლესიის საკითხებში. ეს სფერო სრულიად ხელშეუხებელია. ესენი მთელი აზარტით და აქტიურად უსმენენ. პატრიარქი მოაქციეს სრულ იზოლაციაში. ამის უამრავი მაგალითი მაქვს, პრაქტიკულად, მისი სახელით სჩადიოდნენ იმას, რაც მათ სურდათ და რუსებს.**

**ახლა ამ სპეცოპერაციის საბოლოო ეტაპი დგება – ეკლესიის განადგურება, რადგან საქართველოს ეკლესია არის ქვეყნის იმუნიტეტის მნიშვნელოვანი ნაწილი და თუ ქართულ ეკლესიას გაანადგურებ, ასევე ანადგურებ ერის იდენტობასა და იმუნიტეტს. ივანიშვილისთვის ნებისმიერი ინსტიტუტი მიუღებელია – სახელმწიფო და ეკლესიის ავტორიტეტი ქვეყანაში. არსებობს მხოლოდ პუტინი, ის და მისი კერძო საკუთრება. პატრიარქის ანდერძიც, ალბათ, სადღაც გააქრეს, სუს-ში პატრიარქის გარდაცვალებიდან ორ საათში შეიქმნა შტაბი, მეუფეები გადანაწილებულები ჰყავთ. მზადდება ეკლესიაში ეგზარქოსის დასმა და ეკლესიის განადგურება. მე ახლა მოვაწერ ხელს მიმართვას, რომ მისი კანონიზაცია დაიწყოს და მისი წმინდანად გამოცხადების პროცესი. მე და გიული ბოლოჯერ, 2017 წელს ვიყავით პატრიარქთან, ბერლინში, საავადმყოფოში. მიმეორებდა – „ბატონო მიხეილ, დაბრუნდი უკან, დაბრუნდი უკან“ და დავბრუნდი და ხმა არ ამოაღებინეს“,** – განაცხადა **მიხეილ სააკაშვილმა.**

*   *   *

**„ნაციონალური მოძრაობის“** წევრის **თინა ბოკუჩავას** განცხადებით, **ჰქონდა სურვილი, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით ყოფილიყო წარმოდგენილი სამების ტაძარში.** მისი თქმით, **საპატრიარქოსგან იყო ამის მზაობა, სამწუხაროდ, ე.წ. სახელმწიფო კომისია წინააღმდეგი აღმოჩნდა. ბოკუჩავას შეფასებით, ხელისუფლებამ პატრიარქის დაკრძალვის დღე საკუთარი პროპაგანდისთვის და ქულების დასაწერად გამოიყენა.**

*   *   *

იგივე შინაარსის განცხადებას აკეთებს **ნიკა გვარამია,** რომელმაც მთელი თავისი პოლიტიკური კარიერა საპატრიარქოს და უშუალოდ პატრიარქის ლანძღვა-გინებას მიუძღვნა.

**„უამრავ მორწმუნეს, პატრიარქის უამრავ ნამდვილ ჭირისუფალს არ მისცეს შესაძლებლობა სამებაში მოხვედრის და ილია მეორესთან გამომშვიდობების – „მე ავაშენე, ჩემია და ვისაც მინდა, იმას შემოვუშვებ“ – ეს ეწერა სახეზე ივანიშვილს. ოკუპირებული იყო სამების ტაძარი ბიძინას და მისი პირადი გარემოცვის მიერ. სახელმწიფოს მიმტაცებელმა ბოროტმა ჩარჩმა, რა გასაკვირია, რომ ახლა უკვე გლოვაც მიიტაცოს. არა იმიტომ, რომ მარტომ იგლოვოს ყველას ნაცვლად; არა იმიტომ, რომ მარტომ მართოს, ყველას ნაცვლად და ვიდრე ცოცხალია. გამოვტაცებთ და დავიბრუნებთ მთავარს, რაშიც ღმერთია განსხეულებული – თავისუფლებას და ურთიერთსიყვარულს. დავიბრუნებთ ადამიანური ყოფის იმგვარ საფუძველს, მწუხარების გამოხატვის თავისუფლება რომ არის, რაც, როგორც გუშინ აღმოჩნდა, ასევე შეზღუდული გვქონია“,** – წერს **ნიკა გვარამია.**

*   *   *

რადიკალების ბრალდებას გამოეხმაურა ვიცე-სპიკერი **გიორგი ვოლსკი,** რომლის განცხადებით, როგორც ყოველთვის, სააკაშვილი ბოდავს, მაგრამ ეს ბოდვა კონკრეტული მიზნისკენ არის მიმართული.

**„როგორც ყოველთვის, სააკაშვილი ბოდავს, მაგრამ ეს ბოდვა კონკრეტული მიზნისკენ არის მიმართული. ასე რომ, დღეს კიდევ ერთხელ გავიაზროთ, რა მოხდა, რა მდგომარეობაა ზოგადად მსოფლიოში, საქართველოში შექმნილი, რა უნდა ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს ხალხს და შემდეგ გავცეთ პასუხი უკვე სააკაშვილსაც და ზურაბიშვილსაც და ნებისმიერ სხვას, ვისაც ამ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვები აქვს“,** – განმარტა **ვოლსკიმ.**

კითხვაზე, რა ინფორმაცია აქვს, რატომ არ იყო საშვები დაშვებული რიგი ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისთვის პატრიარქის დაკრძალვის დღეს სამების საპატრიარქო ტაძარში, ვოლსკიმ უპასუხა, რომ მასთან დაკავშირებითაც ექნებათ პასუხები.



*   *   *

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილის** განცხადებით, ასეთია სააკაშვილის და რადიკალების ბუნება. როცა ამ დღეებში, მთელი ქვეყანა სიყვარულზე, მიტევებასა და სათნოებაზე ლაპარაკობს, ესენი ლაპარაკობენ საშინელებას.

**„ჯერ ერთი, ეს არის მისი გონებრივი გამოფიტვის დადასტურება და რატომ? თუ ვინმე შენი თანდასწრებით პატრიარქს გიგინებს, შეურაცხყოფს და შენ პრეზიდენტი ხარ ამ დროს, იქვე უნდა გასცე პასუხი. თუმცა, რადგან მაშინ არავითარი ზომა არ მიგიღია და ახლა მეუბნები ამას, ორი ვარიანტია – ან იგონებ და ცილისმწამებელი ხარ, ან თვითონ ხარ მონაწილე ბოროტების. რა გამოდის, იმდენად სულელია, რომ საკუთარ თავს ამხელს და ეს ბოროტის თვისებაა.**

**ბუნებრივია, საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც მის ამ ბოროტ ნარატივებს მიჰყვებიან. ეს აშკარა ბოროტებაა, რაც მან იკადრა. წარმოუდგენელია სააკაშვილის სიბილწის ხარისხი, არ არსებობს მისთვის არაფერი წმინდა, ხელშეუხებელი, საკრალური. ამ დღეებმა აჩვენა, რამხელა სიწმინდესთან გვაქვს საქმე და ამ ბინძური ცილისწამებით, ის ცდილობს ამის დაზიანებას. პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილის დაზიანებას, მაგრამ ცხადია, რომ შედეგი იქნება იგივე, რაც უგულავას შემთხვევაში იყო. იქნება კიდევ ერთი დემონსტრირება საკუთარი უგუნურობისა და ბოროტების“,** – აცხადებს For.ge-სთან საუბრისას **დავით ზარდიაშვილი.**

*   *   *

უფლებადამცველის **დიმიტრი ლორთქიფანიძის** შეფასებით, პატრიარქი, როგორც სიმბოლო სახელმწიფო სტაბილურობისა და ეროვნული ღირებულებების ერთგულებისა, ლიბერასტადევჭთა მთავარი სამიზნე იყო ყოველთვის.

**„მოყოლებული „კმარელი“ თეა თუთბერიძიდან და დასრულებული ლომჯარია-გიგაურის ანტისაპატრიარქო კამპანიით, ჩვენ ათწლეულების მანძილზე ვიყავით მოწმენი გაათფთრებული ბრძოლისა დედაეკლესიის წინააღმდეგ! ცხადია, ამ ყოველივეს გააჩნდა პოლიტიკური განზომილება და რაც მთავარია, დამკვეთი ჰყავდა ლიბერალური ინტერნაციონალის წიაღიდან, რომელიც დღემდე ინიღბება პარტნიორის მანტიით, მაგრამ რქებიც უჩანს და ჩლიქებიც! სწორედ მათთვის დამახასიათებელი ცბიერებით აგრძელებენ სისინს პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ და ერთიანი ორკესტრირებით ამზადებენ ახალ აგრესიულ კამპანიას, ამჯერად უკვე მომავალი პატრიარქის არჩევის წინ! პირდაპირ ვეტყვით: დანდობა არ იქნება, 17 მაისს საზოგადოების ერთსულოვნებით, ნებისმიერი შტურმი სახელმწიფოსა და ეკლესიაზე დასრულდება სრული კრახით“,** – ამბობს For.ge-სთან საუბრისას **დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**თამთა ქარჩავა**

## ჯო უილსონი: თუ ირანთან გამარჯვება გსურთ, ჯერ „ქართული ოცნება“ უნდა დაამარცხოთ!




# საქართველოში ბომბები არ ცვივა, მაგრამ ბრძოლები არანაკლებ მწვავეა!..

**28 თებერვალს დაწყებული ომი მძვინვარებს და განადგურებით ემუქრება ნახევარ მსოფლიოს. ირანში ამერიკა-ისრაელის იერიშებს აიათოლა ალი ჰამენეის გარდა ათობით მაღალჩინოსანი და სამხედრო მეთაური ემსხვერპლა. ახალი უზენაესი ლიდერის, ალი ჰამენეის ვაჟის, 56 წლის მოჯთაბა ჰამენეის გამოცხადებამდე პრეზიდენტი ტრამპი იმუქრებოდა, რომ თუ მას არ შეეკითხებოდნენ და ისე აირჩევდნენ ახალ ლიდერს, იმასაც ძველის ბედი ელოდა: „მან, ახალმა ლიდერმა თანხმობა ჩვენგან უნდა მიიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდხანს ვერ გაძლებს. გვსურს, უზრუნველვყოთ, რომ ყოველ 10 წელიწადში ხელახლა მიბრუნება არ მოგვიწევს, როდესაც ჩემნაირი პრეზიდენტი არ იქნება და არ იზამს ამას“.**

მანამდე ტრამპმა ასეთი განცხადებაც გააკეთა: არავითარი მოლაპარაკება არ იქნება ირანთან, მხოლოდ სრული კაპიტულაციაო, რაზეც ირანმა უპასუხა, ამ ოცნებას საფლავში ჩაიტანთო.

ირანს ამერიკა აბრალებს, ახლო აღმოსავლეთის დაპყრობა სურდაო. აშშ-ის ომის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **პიტ ჰეგსეთმა** ისიც კი იკადრა, ომი ჩვენ არ დაგვიწყიაო, ხოლო პრეზიდენტმა ტრამპმა თეირანში დაბომბილ სკოლაზე, სადაც175 ადამიანი (მათ შორის უმრავლესობა მოსწავლე გოგონა იყო) განაცხადა, ის დარტყმა სავარაუდოდ ირანის უზუსტო დარტყმის შედეგიაო. იმავროულად კი **„ნიუ-იორკ ტაიმსი“** ავრცელებს ინფორმაციას, რომ თეირანის ქალთა სკოლაზე თავდასხმა აშშ-ს სადაზვერვო სააგენტოს მიერ მიწოდებული ძველი ინფორმაციით მოხდა, რეალური სამიზნე სკოლის მახლობლად მდებარე სამხედრო ბაზა იყო, რომელსაც ადრე სკოლის შენობა ეკუთვნოდაო.

ამერიკის ფართო წრეებში ეს ომი სულ უფრო არაპოპულარული ხდება, მას აპროტესტებენ არა მხოლოდ ქუჩაში, არამედ სენატშიც, კონგრესშიც. ბევრმა იხილა კადრები ერთ-ერთ გადამდგარ გენერალს სენატში ომის პროტესტი გარეთ გათრევად და ხელის მოტეხვად რომ დაუჯდა. ამ დღეებში კი აშშ-ის ეროვნული ანტიტერორისტული ცენტრის დირექტორმა **ჯო კენტმა** პროტესტის ნიშნად ხმაურით დატოვა თანამდებობა. 45 წლის კენტმა, რომელიც ტრამპის ადმინისტრაციაში ტერორიზმთან ბრძოლას უწევდა კოორდინაციას, თეთრ სახლს **„კურსის შეცვლისკენ“** მოუწოდა. ის ამ ადმინისტრაციაში ყველაზე მაღალი რანგის თანამდებობის პირია, რომელმაც საჯაროდ გააკრიტიკა აშშ-ისრაელის ოპერაცია ირანში. **„როგორც ვეტერანი, რომელმაც 11-ჯერ იბრძოლა და როგორც ქვრივი, რომელმაც დაკარგა ცოლი ისრაელის მიერ წამოწყებულ ომში, მე ვერ დავუჭერ მხარს ახალი თაობის გაგზავნას ომში, რომელიც არანაირ მიზანს არ ემსახურება ამერიკელი ხალხისთვის“**, – განაცხადა მან.

ომის პირველ დღეებშივე ჰორმუზის სრუტის მახლობლად ირანის 16 გამნაღმველი გემი გაანადგურეს, მეორე დღესვე პასუხად ირანმა ორ ნავთობტანკერზე მიიტანა იერიში. ერთ-ერთი ჩაძირული ტანკერი (ის მალტის დროშით ცურავდა) კაპიტანი ქართველი იყო. მის გარდა გემზე 22 ქართველი მეზღვაური იმყოფებოდა. ისინი ერაყელებმა გადაარჩინეს.

ამ ამბავმა ძალზე ააღელვა ტრამპი: თუ ისინი ჰორმუზის სრუტეში ნავთობის ნაკადის შეჩერებას შეეცდებიან, ამერიკა მას 20-ჯერ ძლიერად დაარტყამს, ვიდრე აქამდეო. ამაზე ირანული უსაფრთხოების უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელმა ალი ლარიჯანმა უპასუხა: ირანელ ხალხს თქვენი ფუჭი მუქარის არ ეშინია. ირანელი ხალხის განადგურება თქვენზე ძლიერებმაც ვერ შეძლეს. ფრთხილად იყავით, თვითონ არ განადგურდეთო. ამ განცხადებას რამდენიმე დღეში თვითონ ლარიჯანი ემსხვერპლა. რაც შეეხება ირანელ ხალხს, ცნობილი ხდება, რომ ირანელი ემიგრანტები შინ ბრუნდებიან სამშობლოს დასაცავად.

ტრამპის მუქარის მიუხედავად ირანმა ჰორმუზის სრუტე მაინც ჩაკეტა და მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისის წინაშე დადგა. ერთი ბარელი ნავთობის ფასმა 100 დოლარს გადააჭარბა. ამან რუსეთს ახალი შესაძლებლობები შეუქმნა. მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა გადაწყვიტა 25 აპრილიდან რუსულ თხევად გაზზე სრულად თქვას უარი, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ევროპას დაემუქრა, რომ მთელ თხევად გაზს აზიაში გაიტანს და მთავრობას მოუწოდა, ახლავე შეწყვიტოს მიწოდება.

**ირანთან ომმა უკრაინის ომი მეორე პლანზე გადაიტანა. უკრაინის დელეგაცია სპარსეთის ყურის ქვეყნებში გაემგზავრა ურთიერთდახმარების შეთანხმების მოსამზადებლად. რუსეთთან ომში მყოფი უკრაინა მზად არის რეგიონს ირანული დრონებისგან დაცვაში დაეხმაროს და თავადაც დახმარებას ითხოვს. ზელენსკი მიიჩნევს, რომ უკრაინას ირანულ დრონებთან ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს, თავად უკრაინას კი რუსეთის დარტყმებისგან დასაცავად საჰაერო თავდაცვის რაც შეიძლება მეტი საშუალება სჭირდება.**

ტრამპი იუწყებოდა, ირანი დანებების პირას არის, მაგრამ არ ჩანს ლიდერი, რომ ეს გამოაცხადოსო. მეორე დღესვე მოჯთაბა ჰამენეიმ, რომელიც ჯერ არ გამოჯანმრთელებულა (როგორც ამბობენ ის ამჟამად პუტინის მიწვევით მოსკოვშია სამკურნალოდ) პირველი საჯარო განცხადება გააკეთა და ბრძოლის გაგრძელების პირობა დადო, რომ შურს იძიებს მოწამეებისთვის, ომში ახალ ფრონტს გახსნის, სადაც მტერს მცირე გამოცდილება აქვს და ძალზე მოწყვლადია. ეს იმის საპასუხოდ ითქვა, ტრამპმა რომ განაცხადა, ირანი თითქმის დასრულების პირასაა, ამ ქვეყნის თავზე თავისუფლად ვმოქმედებთ, თეირანის ისეთ ნაწილებს შეგვიძლია დავარტყათ, რაც ირანის აღდგენას შეუძლებელს გახდის, მაგრამ ჩვენ ეს არ გვსურსო.

თეთრი სახლის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში სტივენ მილერი: „ისტორიაში არასდროს მომხდარა მტრის იმაზე მეტად ასიმეტრიული, ცალმხრივი განადგურება, ვიდრე რასაც ახლა ირანში ვუყურებთ, ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყანას ირანისა ეშინოდა. დიდი ხნის განმავლობაში ეგონათ, რომ ირანი რეგიონის ყველაზე დიდი სამხედრო ძალა იყო, თუმცა ჩვენი პრეზიდენტის ხელმძღვანელობით ამერიკამ მათი საზღვაო ფლოტი და სარაკეტო შესაძლებლობები გაანადგურა. დამანგრეველი იერიშები მიიტანა ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსისა და სარდლობის სტრუქტურებზე. ისრაელთან თანამშრომლობითა და კოორდინაციით ამ ქვეყნის ხელმძღვანელობა და ლიდერები ამოიხოცა. ეს იყო მსოფლიოში ძალადობის გამოწვევის მხრივ მათი უნარის სრული განადგურება“.

მიუხედავად პრეზიდენტ ტრამპის მქუხარე განცხადებისა, რომ ირანში ბრძოლები თითქმის დამთავრებულია, აშშ იძულებული გახდა 5 ქვეყნისთვის (ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა და დიდი ბრიტანეთი) ჰორმუზის სრუტის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დახმარებისკენ მოეწოდებინა: **„მე მოვითხოვ, რომ ეს ქვეყნები მოვიდნენ და თავიანთი ტერიტორიები დაიცვან, რადგან ეს მათი ტერიტორიებია. ეს არის ადგილი, საიდანაც ენერგორესურსებს იღებენ, უნდა მოვიდნენ და დაგვეხმარონ მის დაცვაში“.**

მანამდე კი ერთ-ერთ ინტერვიუში NATO გააფრთხილა, ალიანსს ძალიან ცუდი მომავალი ექნება, თუკი მოკავშირეები ჰორმუზის სრუტის დაცვაში არ დაგვეხმარებიანო.

**აშშ-ის სენატში 18 მარტს მოსმენები გაიმართა დაზვერვის უწყების დირექტორ ტულსი გაბარდის და სხვა მაღალი რანგის პირების მონაწილეობით. სენატორებმა ტრამპის ადმინისტრაცია გააკრიტიკეს საჯარო განცხადებებსა და სადაზვერვო უწყებების შეფასებებს შორის შეუსაბამობის გამო. აშშ-ის დაზვერვის დასკვნით ირანს არ განუახლებია ბირთვული მასალების გამდიდრება, რომლებიც განადგურდა 2025 წლის ივნისში აშშ-სა და ისრაელის თავდასხმების დროს.**

თქვენი არ ვიცი და მე ამ ამბავმა ერაყის ისტორია გამახსენა, ძვირფასო მკითხველო. სადამ ჰუსეინი ჩამოახრჩვეს, მაგრამ ერაყში შეგულებული ქიმიური იარაღი მაინც ვერ იპოვეს!

* * *

**ამასობაში კი არ წყდება დასავლელი „კეთილისმყოფელების“ თავდასხმები საქართველოზე. მაგალითად, ჩვენთვის კარგად ცნობილი ჯო უილსონი იქამდე მივიდა, რომ ამერიკის ხელმძღვანელთ მიმართა: თუ ირანთან გამარჯვება გსურთ, ჯერ „ქართული ოცნება“ უნდა დაამარცხოთო.**

ევროკავშირის კომისარმა მარტა კოსმა კი ევროპარლამენტის პლენარულ სესიაზე საქართველო იმის ნიმუშად მოიყვანა, თუ რა ხდება იმ ქვეყანაში, სადაც რუსეთი იმარჯვებს: **„ავტოკრატიული სისტემა ახშობს დემოკრატიულ ხმებს“**. გასულ კვირას საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია, რომელმაც შეხვედრები გამართა როგორც ხელისუფლების, ისე პოლიტიკური ოპოზიციის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და სახალხო დამცველთან. პარალელურად საქართველოში იმყოფებოდნენ „მოსკოვის მექანიზმის“ ექსპერტები.

ეს „სრულიად დამთხვევით“ მოხდა. დელეგაციამ მოითხოვა პოლიტიკურ პატიმრებთან შეხვედრა, მაგრამ უარი მიიღო, რის უფლებაც ჩვენს ხელისუფლებას ჰქონდა. აღნიშნეს, რომ ქვეყანაში არ არსებობს დიალოგი. დასავლური თავდასხმების სამიზნე, ისევ და ისევ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი კანონებია. ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი უსაფრთხოების საკითხებში კაია კალასი და ევროკომისარი გაფართოების საკითხებში მარტა კოსი კვლავ ერთობლივად და კვლავ დაჟინებით აცხადებენ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი საკანონმდებლო ცვლილებები („გრანტების კანონსა“ და სისხლის სამართლის კოდექსში) ქვეყნის დემოკრატიული და სამოქალაქო სივრცის შეზღუდვისკენაა მიმართული. მათი ეს შეფასება გაიზიარეს „ვაიმარის სამკუთხედის“ ქვეყნების (საფრანგეთი, გერმანია და პოლონეთი) საგარეო საქმეთა მინისტრებმა ასევე ერთობლივად გაკეთებულ განცხადებებში.

12 მარტს, ვიზიტიდან ორ დღეში გამოქვეყნდა ეუთოს 23 ქვეყნის, მოთხოვნით ამოქმედებული „მოსკოვის მექანიზმის“ ფარგლებში მომზადებული ანგარიში 9 პრიორიტეტული მიმართულებითა და 46 რეკომენდაციით. ანგარიშის ავტორია პოლონელი პროფესორი პატრიცია გრჟებიკი.

**რეკომენდაციები, იცოცხლე, არც ადრე გვაკლდა. ამჯერად განსხვავება, რასაც ხბოს აღტაცებით შეხვდა ჩვენი ოპოზიცია, ის არის, რომ თურმე შესაძლებელი ხდება განიხილონ საქართველოს საქმის ჰააგის სასამართლოსთვის გადაცემა.**

ჯო უილსონმაც არ დააყოვნა. მისი ინიციატივით გავრცელდა რამდენიმე სენატორისა და კონგრესმენის ერთობლივი მიმართვა ამერიკის მთავრობისადმი მოწოდებით, შეუერთდნენ ევროპელ პარტნიორებს სანქციებისა და სხვა ინტრუმენტების გამოყენებაში, რათა საქართველოს მთავრობამ შეასრულოს „მოსკოვის მექანიზმის“ ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები.

# ევროპა ბოლომდე გვწირავს?!

ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე გაიმართა დებატები საქართველოს შესახებ სათაურით „ელენე ხოშტარიას საქმე, პოლიტიკური პატიმრები „ქართული ოცნების“ რეჟიმის პირობებში“. რეზოლუციის სინჯი 12 მარტს შედგა. დებატები რასა იუკნევიჩიანემ გახსნა და განაცხადა, რომ საქართველო ნამდვილად არ არის დაკარგული. ამის დასტურად კი ელენე ხოშტარიას წერილი წარმოადგინა, სადაც ქალბატონი ელენე საქართველოსთვის მებრძოლად წარმოაჩენს თავს, ვისთვისაც პატიმრობა არცთუ ისე მნიშვნელოვანია – „ჩემი მიზანი ჩემი პირადი თავისუფლება არ არის, ჩემი მიზანია თავისუფლება ქართველი ხალხისთვის“...

წერილში ერთი საინტერესო ფრაზაა: **„პირადად ჩემი დაპატიმრებისთვის არ ვწუხვარ, გაცილებით მნიშვნელოვანია, საკმარისი ყურადღება მიაქციოთ სტრატეგიულ გამოწვევებს, რომელთა წინაშე ევროპა დგას საქართველოში“(?!).** ზოგადად ეს რეზოლუციაც დაგმობათა კასკადს წარმოადგენს.

* * *

**ახლა კარგიც ვთქვათ. აშშ-ის პირველი ლედის მელანია ტრამპის მიწვევით საქართველოს პირველი ლედი თამარ ბაგრატიონი მონაწილეობას მიიღებს გლობალურ სამიტში „ერთად – უკეთესი მომავლისათვის“, რომელიც ვაშინგტონში გაიმართება. პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილის შეფასებით ეს ამბავი კეთილი ნების გამომჟღავნებაა.**

ამ დღეებში „ლელო“– ძლიერი საქართველოს“ ბრიფინგი გაიმართა, სადაც ირაკლი კუპრაძემ ვრცელი განცხადება წაიკითხა, რომლის დედააზრი ასეთი იყო: შექმნილ საშინაო და საგარეო ვითარებაში აუცილებელია მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის. დღეს საქართველოს სჭირდება, რომ დაიწყოს ქვეყნის შიდა პოლიტიკური კრიზისის განმუხტვაზე ორიენტირებული ფართო პოლიტიკური დიალოგი უკიდურესად პოლარიზებული საზოგადოების წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობით. ამ ღონისძიებას უმალ გამოეხმაურა მიხეილ სააკაშვილი:

**„მეგობრებო “ლელოდან“, შეწყვიტეთ შტრაიკბეხეროვა. ნუთუ თქვენმა საკუთარმა გამოცდილებამ არაფერი გასწავლათ? დიქტატურასთან საუბარი გამოუვა მხოლოდ ერთიან ოპოზიციას მხოლოდ ძალის პოზიციიდან. იმედს ვიტოვებ, რომ სულ მალე „ლელოსთან“ ერთად ვიქნებით გადამწყვეტ ბრძოლაში“.**

„ევროპელმა დემოკრატმა“ თამარ ჩერგოლეიშვილმა კი ეს შანსიც არ დაუტოვა ოპოზიციისთან მწყრალად მყოფ „ლელოს“. ნიკა გვარამიამ კვლავ შარლ მიშელი გაიხსენა: **„შარლ მიშელის სულის თეფშის ტრიალით გამოძახებას შეეშვით, მეგობრებო!“** ბარემ აქვე ვიტყვი, ამ **„დიდი პოლიტიკოსის“** ერთი მნიშვნელოვანი აღიარების შესახებ: **ნიკა გვარამიამ ვერ დამალა, რომ ამ ბოლო ხანს შექმნილი ოპოზიციური პარტიების ერთობა ეფუძნება გარედან მიღებულ დირექტივას, ოღონდ, სინანულით დაამატა, სამწუხაროდ, ეს „ერთობა“ ჯერჯერობით რევოლუციის მოხდენას ვერ შეძლებსო!**



**შენს პირს შაქარი, ბატონო ნიკუტა!**

**ალეკო ასლანიშვილი**




**ევროსაბჭოს კონგრესი 1 აპრილს, 50-ე სესიის ფარგლებში, საქართველოს შესახებ ანგარიშს განიხილავს. კონგრესის სესიის დღის წესრიგში აღნიშნულია, რომ სხდომაზე განიხილება დოკუმენტი, რომელიც ფაქტების დამდგენმა მისიამ საქართველოში ვიზიტის შემდეგ მოამზადა. განიხილავენ და კენჭს უყრიან რეზოლუციისა და რეკომენდაციის პროექტებს.**

# ზემოქმედება გაგრძელდება და შემდეგი პროცესი იქნება ვიზების გაუქმება!..

**ანგარიშში აღნიშნულია, რომ ევროსაბჭოს კონგრესი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, სასწრაფოდ განაახლონ პოლიტიკური დიალოგი მთავრობის ყველა დონეზე, ინკლუზიური პოლიტიკური პროცესის მეშვეობით, რომელშიც ყველა დაინტერესებული მხარე იქნება ჩართული, პოლარიზაციის შესამცირებლად და პლურალისტურ დემოკრატიაში აუცილებელი კონტროლისა და ბალანსის აღსადგენად; განახორციელონ კონგრესის რეკომენდაციები და ვენეციის კომისიის მოსაზრებები, რათა აღადგინონ ნამდვილი ადგილობრივი დემოკრატია ქარტიის შესაბამისად.**

ამასთან, კონგრესი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, გააუქმონ საარჩევნო კოდექსში პრობლემური ცვლილებები და განახორციელონ ყოვლისმომცველი რეფორმა, რომელსაც წინ უძღვის ფართო კონსულტაციები, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და ყველა ძირითადი ხარვეზის აღმოსაფხვრელად; დაუყოვნებლივ შეაჩერონ ოპოზიციური ხმის კრიმინალიზაციის პროცესი და გააუქმონ ცვლილებები, რომლებიც ხელს უწყობენ ოპოზიციური პარტიების აკრძალვას.

დაუყოვნებლივ ხელახლა შემოიღონ გენდერული კვოტები და გააძლიერონ არსებული დებულებები ადგილობრივ პოლიტიკაში ქალების მონაწილეობის გაზრდის მიზნით; გააუქმონ ცვლილებები, რომლებიც ზღუდავენ არჩევნებზე დაკვირვებას, დაუბრუნდნენ ადგილობრივი არჩევნების დასაკვირვებლად კონგრესის სისტემატურად მოწვევის პრაქტიკას. ნამდვილი დიალოგის აუცილებელ წინაპირობად, კონგრესი ასევე მოუწოდებს ხელისუფლებას, გააუქმოს ყველა კანონმდებლობა, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს და თავი აარიდოს ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომლებიც კიდევ უფრო შეაფერხებს სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია საშუალებების მუშაობას ან შეარყევს ადგილობრივი დემოკრატიის საფუძვლებს. კონგრესი ასევე გასცემს ძალადობის შესახებ ცნობების, განსაკუთრებით დაკავებულებისა და მომიტინგეების მიმართ ძალადობის ცნობების, საფუძვლიანად გამოძიების და დაპატიმრებული ჟურნალისტებისა და პოლიტიკური ლიდერების გათავისუფლების რეკომენდაციას.

* * *

**უკვე ცნობილია, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ რეკომენდაციის არცერთი პუნქტის შესრულებას არ გეგმავს, რასაც კონგრესი ითხოვს.**

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისთვის ჩვენ მეჩვიდმეტეხარისხოვანი ბანანის რესპუბლიკა ვართ. თუმცა, როგორც **შალვა პაპუაშვილმა** თქვა, საქართველო ამ ორგანიზაციის დატოვებას არ აპირებს და პირიქით, უნდა ვაიძულოთ, პატივი სცენ ჩვენს სუვერენიტეტს.

**„დოკუმენტი რომ გავხსენი, თვალში პირდაპირ მომხვდა ზურა ჯაფარიძესთან დაკავშირებით ჩანაწერი, რომ ის იყო დაკავებული, რადგან არ მივიდა „წულუკიანის კომისიაზე“. ეს ტერმინი არის გამოყენებული. შემდეგ ჩავუყევი, სადმე განმარტებული თუ აქვთ და თუ წერია, რომ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიაა, სქოლიოში ხომ მაინც უნდა მიეთითებინათ? ვინც არ იცნობს ჩვენი რადიკალების ლექსიკონს და ლექსიკას, ის ვერც მიხვდება. ისიც კი არ აქვთ განმარტებული. ამ ხალხთან რა გვაქვს ჩვენ სასაუბრო, რომელიც პატივს არ სცემს ქართველ ხალხს?**

**ეს ხომ აჩვენებს, რომ ისინი საქართველოსა და ქართველ ხალხს პატივს არ სცემენ. მათთვის ჩვენ ვართ მეჩვიდმეტეხარისხოვანი ბანანის რესპუბლიკა, რომელშიც ჩამოვიდნენ რაღაცების საქადაგებლად. ჩვენ ვგონივართ კულტურისგან შორს მდგომი, რაღაც მათ მაღალ მატერიებთან არნაზიარები ადამიანები. რა ღირებულებებზე უნდა ვესაუბროთ?“...**

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, ეს არის ზუსტად საბჭოთა აზროვნება და სხვა არაფერი.

**„ჩვენ იმას ვშიშობთ, რომ საბჭოთა კავშირისკენ მიექანებიან. კი არ მიექანებიან, იქ არიან უკვე. ამას ხანდახან, საბჭოთა მოსკოვიც კი არ კადრულობდა. ამ ე.წ. ლიბერალურ სამყაროში, ამას კადრულობენ, ასე გვაკნინებენ ქართველებს. გვთვლიან მეჩვიდმეტეხარისხოვან ერად, რომ ჩვენ, ჩვენი სახელმწიფო არ გვაქვს, რომ ჩვენ, ჩვენი პარლამენტი არ გვაქვს, რომ ჩვენს პარლამენტს შეუძლიათ რაღაცები უწოდონ ისე, როგორც მათ გემოვნებაშია.**

**ასე რომ, ამ ხალხთან, სინამდვილეში, არაფერ ღირებულებით საკითხზე სასაუბრო არ გვაქვს. ისინი იხარშებიან საკუთარ ზიზღში, მათ შორის, იმის მიმართ, რომ თავისი ხელისუფლება ვერ დასვეს საქართველოში. ასე რომ, არ ვიცი, ვინ მიიღებს მონაწილეობას ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ ამათ რა ვესაუბროთ? ყველას მიმართ გვექნება ძალიან მკაფიო პოზიცია. ვინც საქართველოს სუვერენიტეტს პატივს არ სცემს, ის არ არის ქართველი ხალხის მეგობარი და შესაბამისი პასუხი გაეცემა ყველას“,** – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

პოლიტიკის დოქტორი, პოლიტოლოგი **თამარ კიკნაძე** აცხადებს, რომ ევროპასთან ურთიერთობით საქართველო იღებდა თავდასხმებს და პრობლემებს. მისი თქმით, შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, რომ არ გააკრიტიკონ საქართველო და ყველა შემთხვევაში, ეს კრიტიკა აბსოლუტურად არამართებულია.

**„ოჯახური ღირებულებებისა და ფინანსური გამჭვირვალეობის შესახებ კანონები ჩვენთვის არის სასიცოცხლო მნიშვნელობის. ფინანსური თუ გააუქმე, ეგრევე რევოლუციას მოგიწყობენ, ოჯახურის გაუქმების შემთხვევაში, ეს არის ერის დეგრადაცია. მით უმეტეს, პატრიარქის ანდერძიც ძალიან კარგად ვიცით და ჩვენი ეკლესიის განწყობები ამ კანონების მიმართ. სხვათა შორის, ოპოზიციონერებმა გააკრიტიკეს ეკლესიის დამოკიდებულება ამ კანონების მიმართ, რაც კიდევ ერთხელ მიმყარებს იმ აზრს, რომ სწორი იყო ამ კანონების მიღება. ასე, რომ ამაზე ჩვენ უარი არ უნდა ვთქვათ, ამის უფლებაც არ გვაქვს“,** – აცხადებს **თამარ კიკნაძე.**

პოლიტოლოგის შეფასებით, ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომ ხელისუფლება კიდევ სხვა პრობლემების წინაშე დგას. ერიდება მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას და პოლიტიკურად შეიძლება ეს გამართლებულიც არის.

**„თუმცა, დღეს მაგ სტრუქტურებში წევრობას უკვე ეკარგება აზრი იმიტომ, რომ ეს არის საქართველოზე ზეწოლის მექანიზმი. ნახეთ, საქართველოს მთავრობას სამძიმრის წერილიც არ გამოუგზავნეს. გაგახსენებთ ერთ ფაქტს, მიხაილ როთი რომ ჩამოვიდა, იმან პირდაპირ გვითხრა, რომ თქვენი ასეთი რელიგიურობა პროგრესს დაგიბლოკავთ და არ შეიძლებაო. ასეთი შეხედულების და ღირებულებების ადამიანები, როგორიც თქვენ ხართ, რელიგიური კუთხით, რეტროგრადები, ჩამორჩენილები არიანო. ამ ფონზე, რა უნდა ელაპარაკო, ესე იგი, ჩვენი გზები გაყრილია.**

**საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა არის რელიგიური და იზიარებს ამ ღირებულებებს. როცა შენ გთავაზობენ გენდერულ დღის წესრიგს, ეს არ არის მისაღები არა მხოლოდ რელიგიური, არამედ მეტ-ნაკლებად ნორმალური ადამიანისთვის. ზეწოლა გაგრძელდება და შემდეგი პროცესი იქნება ვიზების გაუქმება, მაგრამ მით უარესი მათთვის იმიტომ, რომ არა მარტო საქართველოს სჭირდება ევროპა, არამედ ევროპასაც ძალიან სჭირდება კავკასია და კერძოდ, საქართველო. მით უმეტეს, დღევანდელ ვითარებაში. ამიტომ, კარგად უნდა დაფიქრდნენ ამაზე“,** – აცხადებს For.ge-თან საუბრისას **თამარ კიკნაძე.**

**თამარ ქარჩაიძე**

**უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების საკითხი კვლავ აქტუალურია. კიევმა უნდა გადაწყვიტოს რეჟიმის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების ლეგიტიმაციის საკითხი — ასეთია კრემლის პოზიცია. როგორც კრემლის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, კიევის რეჟიმს საკუთარი ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხის გადაწყვეტა მოუწევს.**

# ზელენსკის საკუთარი პარტია დაუპირისპირდა




## კრემლი არჩევნებს ითხოვს

**ცნობისთვის, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი შევიდა თეთრ სახლში და დაიწყო მოლაპარაკება, უკრაინა-რუსეთსა და აშშ-ს შორის პირველი და უმთავრესი საკითხი, რაც რუსულმა დელეგაციამ დააყენა, იყო საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება. ვინაიდან რუსული დელეგაცია აცხადებს, რომ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ქვეყნის კონსტიტუციის დარღვევით გაიხანგრძლივა საპრეზიდენტო ვადა, შესაბამისად, ის არის არაკონსტიტუციური პრეზიდენტი და ამ მოტივით უარი თქვა ზელენსკისთან პირისპირ მოლაპარაკებაზე.**

უკრაინის კონსტიტუცია ომის დროს პრეზიდენტს არ ანიჭებს უფლებას, რომ გაიხანგრძლივოს საპრეზიდენტო ვადა. ამის შესაძლებლობა აქვს მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს — რადას. შესაბამისად, მოქმედი კონსტიტუციით, ზელენსკი არის არაკონსტიტუციური პრეზიდენტი, რაც მან მშვენივრად იცის და იცის ისიც, რომ არ აქვს რეიტინგი უკრაინის საზოგადოებაში, უმრავლესობა უკვე დაკარგა რადაში და სწორედ ამიტომაც, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საპრეზიდენტო არჩევნები არ დადგეს დღის წესრიგში. უკრაინის პრეზიდენტი **ვოლოდიმირ ზელენსკი** უკამყოფილოა იმით, რომ ამერიკული მხარის ყურადღება ამჟამად, ძირითადად, ირანის გარშემო არსებულ ვითარებაზეა კონცენტრირებული.

**„თუმცა, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ეს ომი ასევე უნდა დასრულდეს. ამას მსოფლიოში ყველა ერთნაირად აღიქვამს და ძალიან მადლიერი ვარ ამერიკული საზოგადოების, უკრაინისთვის ნორმალური, ღირსეული მშვიდობისადმი მკაფიო მხარდაჭერისთვის. აუცილებელია, რომ აგრესორმა არ მიიღოს ჯილდო ომისთვის და ასევე მნიშვნელოვანია, რომ უკრაინა არ გახდეს იძულებული, თვეების ან წლების შემდეგ ომში დაბრუნდეს. ამის მისაღწევად, უკრაინისა და მთელი ევროპის უსაფრთხოების გარანტიები საკმარისი უნდა იყოს. საერთო ჯამში, სიტუაცია საკმაოდ ნათელია – პუტინს არ სურს ომის დასრულება, მაგრამ მთავარი არის ის, თუ რა სურს მსოფლიოს. ჩვენ ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც შესაძლებელია და გავაგრძელებთ ყველაფრის გაკეთებას, რათა ეს ომი დასრულდეს“,** — დაასკვნა **ვოლოდიმირ ზელენსკიმ.**

ანალიტიკოს დავით ჩიხელიძის შეფასებით, ზელენსკის საკუთარი პარტია უპირისპირდება რადაში, მისადმი ლოიალური დეპუტატების რიცხვი 254-დან 111-მდე შემცირდა. ნდობის დაკარგვის მიზეზია ომი, მუდმივი პოლიტიკური და კორუფციული სკანდალები.

**„რადამ შეაჩერა ზელენსკის ბოლო ინიციატივები მცირე მეწარმეებისთვის დღგ-ს დაკისრებისა და საზღვარგარეთიდან მოქალაქეებზე შემოსული ამანათების დაბეგვრის გაზრდის შესახებ. დეპუტატმა იანჩენკომ, ზელენსკის პარტიიდან, განაცხადა, რომ პრეზიდენტს ტოქსიკური ურთიერთობა აქვს რადასთან, ის ინიციატივებს უცხოელებს უთანხმებს და არა — ქვეყნის პარლამენტსო. თავის მხრივ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) და ევროკავშირი იმუქრებიან, რომ თუ უკრაინა მათ ნებას არ დაჰყვება, კრედიტებს შეუჩერებენ.**

**ამის გამო, ზელენსკი დეპუტატებს დაემუქრა, თუ პარლამენტში მე არ მემსახურებით, მაშინ ფრონტზე მოგიწევთ სამსახურიო. აი, ეს არის ის „სამაგალითო დემოკრატია“, რომელზეც ევროკავშირი მიგვითითებს და მოსყიდული ქართველი მანქურთების დემაგოგიაზე „დასველებული“, კრეტინი აკაცუკები ღლავიან“,** — აცხადებს For.ge-თან საუბრისას დავით ჩიხელიძე.

პოლიტიკის დოქტორი, პოლიტოლოგი **თამარ კიკნაძე** აცხადებს, რომ უკრაინის პრეზიდენტს საპრეზიდენტო ვადა გაუვიდა და, შესაბამისად, ის არალეგიტიმური პრეზიდენტია. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ხელმეორედ ჩატარდება არჩევნები და მიიღებს მონაწილეობას, მისი თქმით, ზელენსკიმ ძალიან კარგად იცის მისი რეიტინგის შესახებ და ამიტომ, ბუნებრივია, არ სურს არჩევნებში მონაწილეობა. მეტიც, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საპრეზიდენტო არჩევნები არ დაინიშნოს.

**„პრეზიდენტია და კიდევ რაღაც იმუნიტეტი იცავს, პრეზიდენტი რომ აღარ იქნება, იმ უბედურებისთვის, რაც მან ქვეყანას დამართა, პასუხს მოსთხოვენ. ამიტომ, ნებისმიერ შემთხვევაში, მას აწყობს, რომ იყოს პრეზიდენტი და არ ჩაატაროს ახალი არჩევნები. რამდენიც არ უნდა აპიარონ ხელოვნურად, ფაქტი ფაქტად რჩება და ადამიანი თუ ოდნავ აზროვნებს, მიხვდება, რა გორორტება ჩაიდინა მან საკუთარი ერის წინაშე. დასავლეთი ძალიან აპიარებს მას.**

**რუსეთისთვის ზელენსკი აბსოლუტურად მიუღებელი ფიგურა არის იმ ომის შედეგად, რაც მიმდინარეობს. შეიძლება, შეთანხმდნენ ისეთ კანდიდატურაზე, რომელიც უფრო ზომიერი იქნება და ყოველთვის, ხელისუფლების საშუალებით შეიძლება, რომ ბევრი საკითხი გადაწყდეს. ზელენსკისთან ეს საკითხები უკვე არ მოგვარდება. ჯერ ერთი, რუსებს მიზეზი აქვთ, რომ ის არის არალეგიტიმური პრეზიდენტი და არც უნდათ მასთან ლაპარაკი“,** — აღნიშნა For.ge-თან საუბრისას **თამარ კიკნაძემ.**

**თამთა ქარჩავა**

## „ვაშინგტონ პოსტი“:

# ირანთან ომში აშშ-ის ყველაზე კრიტიკული საბრძოლო მარაგები იწურება!

**პენტაგონი განიხილავს, რომ უკრაინისთვის განკუთვნილი იარაღის ნაწილი ახლო აღმოსავლეთისკენ გადაიტანოს, რადგან ირანთან ომში შეერთებული შტატების ყველაზე კრიტიკული საბრძოლო მარაგები იწურება,** — ამის შესახებ ინფორმაციას **„ვაშინგტონ პოსტი“** წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს.



გამოცემას წყაროებმა განუმარტეს, რომ საუბარია საჰაერო თავდაცვის სარაკეტო სისტემებზე, რომლებიც ნატოს ინიციატივის ფარგლებში უკრაინისთვის იყო შეძენილი.

როგორც პენტაგონის წარმომადგენელმა „ვაშინგტონ პოსტს“ განუცხადა, თავდაცვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს, რომ **„აშშ-ის ძალებსა და მოკავშირეებს ჰქონდეთ ყველაფერი, რაც ბრძოლისა და გამარჯვებისთვის სჭირდებათ“.**

# აფრიკელების მონათვაჭრობა „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ყველაზე მძიმე დანაშაულია“

**გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ტრანსატლანტიკური მონათვაჭრობის პერიოდში აფრიკელების მონობა „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ ყველაზე მძიმე დანაშაულად“ აღიარა. რეზოლუცია განას მიერ იყო ინიცირებული.**




დოკუმენტი მოუწოდებს გაეროს წევრ სახელმწიფოებს, განიხილონ მონათვაჭრობისთვის ბოდიშის მოხდის შესაძლებლობა და სპეციალურ ფონდში კომპენსაციის გადახდა.

დოკუმენტში კონკრეტული თანხა არ არის მითითებული.

წინადადებას 123-მა ქვეყანამ დაუჭირა მხარი. სამი წინააღმდეგ წავიდა – შეერთებული შტატები, ისრაელი და არგენტინა. 52-მა ქვეყანამ თავი შეიკავა, მათ შორის იყო გაერთიანებული სამეფო და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიც. გაერთიანებულ სამეფოში, დიდი ხანია, უარყოფენ კომპენსაციის გადახდის მოთხოვნას და აცხადებენ, რომ არ შეიძლება, დღევანდელი ინსტიტუტები პასუხისმგებელი იყვნენ წარსულში ჩადენილ უსამართლობაზე. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისგან განსხვავებით, გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებები იურიდიულად შესასრულებლად სავალდებულო არ არის.

# ბაგრატიონები — სამეფო სახლი, რომლის სისხლი ქართული ისტორიის ფერდებიდან მოედინება...



მარცხნიდან: ლევან ბაგრატიონი („ბაგრატოვანთა სახლის“ ნამდვილი წევრი, დინასტიური „მამუკა ბაგრატიონის ფონდის“ საპატიო წევრი და ორდენის კავალერი); მამუკა ბაგრატიონი; ნოდარ ბაგრატიონი („ბაგრატოვანთა სახლის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, პროფესორი): ხათუნა ბაგრატიონი („ბაგრატოვანთა სახლის“ ნამდვილი წევრი, დამსახურებული პედაგოგი); დალი ბაგრატიონ-ჯაფარიძე („ბაგრატოვანთა სახლის“ ნამდვილი წევრი, ნინო ბაგრატიონის ასული); ნინო ბაგრატიონი („ბაგრატოვანთა სახლის“ ნამდვილი წევრი)

## ბაგრატიონ-დავითიშვილების განშტოება: ისტორიული სიმართლის ძიებაში

ძირთაგან დავით წინასწარმეტყუელისა აღმოცენებულ ვართ, და მის გამო ღმრთსა მიერ ცხებით განებების მეფობა ჩუენ ბაგრატოანთა და ტომნი ვართ დავით მეფისა და წინასწარმეტყუელისა.
«ქართლის ცხოვრება»

### ევროპის უძველესი სამეფო სახლი

**ბაგრატიონთა სამეფო დინასტია ევროპაში ყველაზე ძველია. მსოფლიო მასშტაბით მხოლოდ იაპონიის სამეფო სახლი უსწრებს მას ხანგრძლივობით — და ისიც მცირე უპირატესობით. ეს სიძველე არ არის მხოლოდ ციფრი ქრონოლოგიაში; ეს არის ცოცხალი ისტორია, რომელმაც ჩამოაყალიბა, შეინარჩუნა და გადაარჩინა ქართული სახელმწიფოებრიობა.**

ბაგრატოვანთა სამეფო საგვარეულო საღვთო, სამართლებრივი და უძველესი არქაული ცოდნის საფუძველზე გამოეცხადა კავკასიის რეგიონს. სწორედ ამ დინასტიამ ჩამოაყალიბა თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ დღეს გვაქვს ჩვენი მამული, ენა და სარწმუნება.

### 1801 წლის ტრაგედია სახელმწიფოებრიობის დაკარგვა

**1801 წელს, შიდა ღალატისა და გარეშე მტრების ერთობლივი მოძალავრებით, რუსეთის იმპერიამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ბაგრატიონთა საგვარეულოს. ჯერ ქართლ-კახეთში, შემდეგ — იმერეთში გაუქმდა ბაგრატოვანთა მმართველობა.**

ამით საქართველომ დაკარგა ის, რაც საუკუნეების მანძილზე ეპყრა — სახელმწიფოებრიობა. აჯანყდა ერი. მხედარი და მღვდელი, თავადი და გლეხი — ყველა, ვისთვისაც სახელმწიფოებრიობა თვითმყოფადობის უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენდა. მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში ისინი დამარცხდნენ. 88-ე ფსალმუნი ამ ტრაგედიის სულს მეუფებრივი სიზუსტით ასახავს.



მამუკა ბაგრატიონი და ნოდარ ბაგრატიონი მადლობის სიგელს გადასცემენ გერმანიაში ქ. პლანეგის მერს ბ-ნ ჰერმან ნაფციგერს და მის მოადგილეს ბ-ნ შტეფან შაუდიგს.

### „ბაგრატოვანთა სახლი“ — მეხსიერების აღდგენა

**ყველაზე მძიმე დარტყმა ბაგრატიონებმა საბჭოთა წლებში გადაიტანეს. გააუბედურეს ოჯახები, დახვრიტეს, მოწამლეს, რუსეთის და ევროპის გზაზე განაგდეს; დარჩენილები კი სამშობლოში მუდამ თვალთვალის ქვეშ ცხოვრობდნენ.**

1995 წელს, უწმინდესისა და უნეტარესის სულიერი კურთხევით, დაიწყო ბაგრატოვანთა საგვარეულოს ისტორიული მეხსიერების აღდგენის პროცესი. დაარსდა „ბაგრატოვანთა სახლი“, რომლის განხორციელებაც „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელმა ბ-ნმა იოსებ ბიჭიკაშვილმა იკისრა. ისტორიულ-გენეალოგიური კვლევის შედეგად, მიმოფანტული სამეფო სახლი შეიკრიბა, ისევ შეივსო და განმტკიცდა.

ბაგრატოვანთა სამეფო სახლში გამოირჩევა შემდეგი დინასტიური განშტოებები: ბაგრატიონ-გრუზინსკები, ბაგრატიონ-დავითიშვილები, ბაგრატიონ-ბაბადიშები, ბაგრატიონ-იმერეტინსკები და ბაგრატიონ-მუხრანელები.

1995 წლიდან 2009 წლამდე „ბაგრატოვანთა სახლს“ ხელმძღვანელობდა იმერეთის სამეფო სახლის შთამომავალი, ქალბატონი ნინო ბაგრატიონი. პრინციპული სწრაფვა ერთი იყო — ბაგრატოვანთა სამეფო საგვარეულოს სახელმწიფოებრივი აღიარება. ქ-ნი ნინო ბაგრატიონის ავტორიტეტი ამ პროცესს მყარ ნიადაგს აძლევდა; მისი გარდაცვალების შემდეგ კი ეს საყრდენი შეირყა.



ნინო ბაგრატიონი (იმერეთის მეფეთა შთამომავალი)

### ბაგრატიონ-დავითიშვილები — „თვალდამწვრიანთა“ შთამომავლობა

**ბაგრატიონები-დავითიშვილები ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოებაა, რომელმაც XVI საუკუნიდან ფეოდალური სათავადოს სახე მიიღო. მათი ისტორია იწყება ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ეპიზოდით.**

ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII ქვეყნის გაყოფის შემდეგ გახდა კახეთის მეფე გიორგი I. 1511 წელს სასახლეში ტრაგედია მოხდა: გიორგი ბატონიშვილმა მოკლა მამა — კახეთის მეფე ალექსანდრე I და ძმას დიმიტრი ბატონიშვილს თვალები დათხარა. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „აღმოხადა მასცა თუალნი“. ბრმა და განდევნილი დიმიტრი ცოლ-შვილიანად ქართლში გადავიდა.

სწორედ დიმიტრი ბატონიშვილის შთამომავლებისაგან წარმოიშვა ის განშტოება, რომელსაც „თვალდამწვრიანებს“ უწოდებდნენ. შემდეგ ეს განშტოება სათავადო სახლად ჩამოყალიბდა. დიმიტრი „თვალდამწვრიანის“ ჩამომავალი დავითის სახელიდან მათ გვარი — დავითიშვილი მიიღეს.

### რამაზიშვილები — კიდევ ერთი ოქროს ტოტი

**დავითიშვილთა სათავადო სახლიდან კიდევ ერთი განშტოება გაჩნდა. რამაზ დავითიშვილის შთამომავლობით დაფუძნდა „რამაზიშვილების“ ანდა „რამაზაშვილების“ სახელით ცნობილი შტო. XVI-XVIII საუკუნეებში ამ ორ გვარს შორის ხშირი სამართლებრივი დავები მიმდინარეობდა.**

დავითიშვილების სამფლობელო მოიცავდა შიდა ქართლის სოფლებს: თავდაპირველად — დირბს, ბრეთს, ბებნისს; შემდეგ — ნულს, ფხას, აბანოს, თორმანეულს, ღვერთეთს, თიხევს, ბროწლეთსა და ტკოცას. ნულში ჰქონდათ სასახლე, კოშკი და საყდარი. ამ განშტოების საძვალე, ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ვარაუდით, რუისის ტაძარში უნდა ყოფილიყო. XVIII საუკუნის დოკუმენტებით ირკვევა, რომ ცხინვალის „წყლის ხეობასა შინა“ დავითიშვილებისათვის, იოანე ბატონიშვილი მოწმობს: „არიან გუარით ბაგრატოანნი“.

### 1783 წლის ტრაქტატი და გვარის სამართლებრივი დაბრუნება

**XVIII საუკუნის ბოლოს ქართული სამეფო სახლის მრავალი შტო გვარის პირვანდელ ფორმაზე დაბრუნდა. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს თანდართულ ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურების ნუსხაში მათი წარმომადგენელი ასე სახელდება: „თავადი ბაგრატოვან-დავითიშვილი“. რამაზიშვილებმაც ამ გზით დაადასტურეს საკუთარი ბაგრატიონური ფესვების კანონიერება.**

ასევე, პირველად ქვეყნდება მეფე ერეკლე II-ის მიერ 1786 წელს კონსტანტინე რამაზაშვილისთვის ბოძებული სიგელი — ღირებული ისტორიული დოკუმენტი, რომელიც ამ განშტოების ღირსებასა და სამართლებრივ მდგომარეობას ადასტურებს.

### აზნაური დავითიშვილები — ახალი ტოტი ძველ ხეზე

**XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, ბაგრატიონ-დავითიშვილების სათავადო სახლიდან გოქაულთუხუცეს ელიზბარის ვაჟის, დავით ბაგრატიონ-დავითიშვილის შვილის — იესეს შთამომავლობით ჩამოყალიბდა ახალი, აზნაურული განშტოება.**

ამ განშტოებაზე სერიოზულ ისტორიულ მოწმობას გვაძლევს იოანე ბატონიშვილი: „ამათნი შთამომავლობანი არიან თავადის დავითიშვილის მონათესავენი და მისვე დროსანი აზნაურად მიღებულნი მეფეთაგან... და არიან მეფეთაგანცა მიღებულ და ტრაქტატსა შინაც მოხსენებულ“. მათი ციხესიმაგრე მდებარეობს გორის რაიონში, სოფელ კარბში და საგუშაგო კოშკი შინდისში.

### დღეს — სიმრავლე და ცოცხალი სიმბოლო

**ბაგრატოვანთა განშტოებათა შორის დღეს ყველაზე დიდი რიცხობრივი სიმრავლე ბაგრატიონ-დავითიშვილებისა და რამაზიშვილების ხაზს ახასიათებს.**

ეს ხაზი ცოცხალია — ღვთის მადლით, ოჯახებს ივსებს და გვარის გამგრძელებლებს ამრავლებს. XVII საუკუნის წყაროების მიხედვით, ამ შტოს წინაპარი რამაზ გიორგის ძე დავითიშვილი ყოფილა. მისი შთამომავლები დღეს ორ ძირითად ლოკაციაზე ცხოვრობენ: უფროსი შტო — თბილისში, ხოლო უმცროსი ხაზი — კახეთში, სოფელ ფშაველში.

### სანთელ-საკმეველი — ნათება გრძელდება

**დღეისთვის „ბაგრატოვანთა სახლს“ წინამძღვარი არ ჰყავს. ეს ვაკუუმი — სამართლებრივიც და სიმბოლურიც — შესავსებია. ქვეყნის შიდა და გარე მოწინააღმდეგეები კვლავ განაგრძობენ დარტყმებს, მაგრამ ის, ვინც ამ კავშირის გაერთიანებისათვის იღვწის, ამ გზაზე რჩება.**

ვიტოვებთ იმედს, რომ სანთელი-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

**მამუკა ბაგრატიონი,**
დინასტიური კავშირის „ბაგრატოვანთა სახლის“ ნამდვილი წევრი და ინფორმაციული განყოფილების ხელმძღვანელი.

საქართველოს რესპუბლიკა
„მზე მისგან საწუნარია“
№36. პარასკევი, 27 მარტი, 2026 წელი

# შეხედულებები ქართველთა სილამაზის შესახებ



ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი.

## მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში

თბილისი. 1988.

„ქართველები კარგი აღნაგობისა და მამაცი მეომრები არიან.“

„საქართველო შესანიშნავი ქვეყანაა.“

„ამ ქვეყნიდან გაჰყავდათ ულამაზესი ადამიანები.“

„ექვსი-შვიდი წლის ლამაზ-ლამაზ გოგონებს იტაცებენ და ისპაჰანში ან თურქეთში მიჰყავთ.“

„აქედან ლამაზი ბიჭუნების მიჰყავთ.“

მორიც ვაგნერი

## საქართველოს შესახებ

(თბილისი. 2002)



**საკმაოდ ფართოდ მსჯელობს ქართველი ხალხის სილამაზის შესახებ ცნობილი გერმანელი მოგზაური, გეოგრაფი და ბუნებისმეტყველი მორიც ვაგნერი (1813-1887). ვაგნერმა 1843-1846 წლებში მოიარა შავი ზღვის პირას მდებარე ქვეყნები. მოგზაურმა თავისი შთაბეჭდილებები აღწერა ნაშრომში – „მოგზაურობა კოლხეთსა და კავკასიის იქითა მხარეს მდებარე გერმანულ კოლონიებში“ (ლაიფციგი, 1850 წ.).**

**„მეგრელებიც და სვანებიც ქართული წარმოშობისაა. მეგრელები ლამაზი ხალხია, კეთილშობილური სახის წყობით: მათი სახის ფერი ისეთი მკრთალია, კანი ისეთი თეთრი, როგორც შუა და ჩრდილოეთ ევროპის ულამაზეს ხალხებში. მათ აქვთ წყნარი და მშვიდობისმოყვარე ხასიათი.“**

**„კავკასიის ქვეყნების ყველა ქრისტიან მცხოვრებელთა შორის სვანები ყველაზე მამაცი და მეომარი ბუნებისა არიან.“**

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №31-33

**„ქართველი ქალების სიმშვენიერე საერთოდ მათ სახეშია... უმეტესობას აქვს ძალიან ხშირი და ლამაზი, მბრწყინავი შავი თმა, რომელიც მშვენივრად დაწნულ მრავალ ნაწნავად ეშვება ძირს ოქროთი მოკემსილი პატარა ქუდიდან. თუ გამოვრიცხავთ თავსაბურავს, ლამაზ ნაწნავებს და მოფრიალე მოსასხამს (ვუალს), რომლის სისუფთავესაც თვით უბრალო გლეხის ქალებიც და ხელოსანთა ცოლებიც დიდ ყურადღებას უთმობენ, მაშინ ქართველი ქალის ტანსაცმელი მეტად ფანტასტიურია... მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში ჩაცმაზე (მორთვაზე) თავის შესაძლებლობებთან შედარებით იმდენ ფულს არსად ხარჯავენ, როგორც საქართველოში.“**

**„დიდებული მხარის, გურიის მცხოვრებლები მთელ კავკასიელ ხალხებს შორის სილამაზით პირველნი არიან.“**

**„იმერელი მამაკაცებისა და ქალების სილამაზე განთქმულია. მათი სწორი, თხელი კეთილშობილური ფორმები სხეულის ნამდვილი სანატურო მოდელებია და ალბათ იმ ბერძენ ოსტატებსაც ასეთად წარმოედგინათ ანტინოე და აპოლონი. ასევე სახის სილამაზით მსოფლიოს ცოტა ხალხები თუ შეედრებიან ძველი კოლხეთის მაცხოვრებლებს – იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის ხალხებს. თვით ამაყი ჩერქეზი მამაკაცებიც კი უკან დგანან.“**

**„თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვა პირველ რიგში იმერელ დიდებულებს უნდა აწამებდეს, რადგან ჩრდილოელი დამპყრობლები გარეგნულადაც და ნიჭიერებითაც ბევრად ჩამორჩებიან მათ.“**

**„სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში ცხოვრობს მსოფლიოს ალბათ ყველაზე ლამაზი ადამიანის მოდგმა.“**

**„სომხები და ქართველები არ განსხვავდებიან ჩაცმულობით. მაინც შეჩვეული თვალი ორივე ეროვნებას ერთი შეხედვით ცნობს სახის ნაკვთების მიხედვით, რომელიც ქართველებს საერთოდ უფრო სწორი, ძლიერი და ლამაზი აქვთ. სომხების სახეში ეშმაკობა ისევე ხშირად შეიმჩნევა, როგორც სპარსელებში, რომელთა გამომეტყველებაშიც ეს თვისება თვალშისაცემია.“**

**„იშვიათად მინახავს უფრო ნატიფი ხაზები და მშვენიერი ტანი, როგორც ამ ლამაზ ხალხში.“**

**„ქართულსახელიანი კოლხი ხალხები საერთოდ უფრო ლამაზია.“**

* * *

**საქართველოსა და გერმანიას შორის ურთიერთგაცნობის პირველი ცალკეული შემთხვევები შუა საუკუნეებში გვხვდება. საქართველოში ჩნდება ცნობები გერმანიის შესახებ, ხოლო ევროპელი, და, მათ შორის, გერმანელი მოგზაურები, დიპლომატები, მეცნიერები, მწერლები ქართველ ხალხზე, მის ისტორიასა და კულტურაზე აწვდიან ცნობებს გერმანიასა და მთელ ევროპას. ჯერ კიდევ XII საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ II ბარბაროსა სთავაზობდა მეფე თამარს თავის ერთ-ერთ ვაჟს.**

ამ წინადადების შემოთავაზებას სავარაუდოდ 1185-1187 წლებში უნდა ჰქონოდა ადგილი, თამარის პირველსა და მეორე ქორწინებას შორის. ეს წინადადება უარყოფილ იქნა, რადგან გაიმარჯვა ჩრდილოკავკასიურმა ორიენტაციამ.

საქართველოში შუა საუკუნეებში ბევრმა გერმანელმა იმოგზაურა, კერძოდ, შიტბერგერმა (1396-1417), შობერმა (1717-1722), ვოლფმა (1734), შნეზემ (1733-1736) და მრავალმა სხვამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია XVIII საუკუნის 70-იან წლებში ბალტიისპირელი გერმანელის გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, რომელმაც საქართველოს შესახებ ფასდაუდებელი სანდო ცნობები დაგვიტოვა. ამავე პერიოდში (XVII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში), როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ერეკლე მეფის კარზე იმყოფებოდა მეცნიერი და მოგზაური იაკობ რაინეგსი, რომელმაც ასევე დამაჯერებელი ცნობები დაგვიტოვა საქართველოს შესახებ.



არტურ ლაისტი

გერმანელი და ქართველი ხალხების ურთიერთობის ისტორიაში ცალკე უნდა გამოვყოთ გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი და მთარგმნელი **არტურ ლაისტი,** რომელმაც თავისი ცხოვრება საქართველოს დაუკავშირა. იგი ფ. ბოდენშტედტის (გერმანელი მწერალი, რომელიც 1844 წელს ჩამოვიდა საქართველოში, თბილისის გიმნაზიაში ასწავლიდა ფრანგულ ენას, მოიარა საქართველო და თავისი შთაბეჭდილებები გამოაქვეყნა გერმანიაში) რჩევით დაინტერესდა საქართველოთი. მან თარგმნა გერმანულ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ და გამოაქვეყნა დრეზდენსა და ლაიფციგში. მისი ნაშრომი „ქართველი ხალხი“ მრავალ ევროპულ ენაზე ითარგმნა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ი. ჭავჭავაძესთან, ი. მაჩაბელთან და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან. იგი 1892 წლიდან საქართველოში დამკვიდრდა და 1927 წელს აქვე გარდაიცვალა.

გამოჩენილი გერმანელი მწერლებისა და ფილოსოფოსების ნაწარმოებები თარგმნილია ქართულ ენაზე, მათ შორისაა ლესინგი, რომლის კომედიაში „მინა ფონ ბარნჰელმი“ მოხსენიებულია მეფე ერეკლე მეორე, ამ პიესის გმირი ვერნერი აღფრთოვანებით ამბობს: **„მაშ, არ იცნობ პრინც ერეკლეს? იმ მამაც ვაჟკაცს, რომელმაც სპარსეთი დაიპყრო და დღეს თუ ხვალ ოტომანთა პორტში შეიჭრება?“** ვერნერის აღფრთოვანება კარგად გამოხატავს იმ რეზონანსს, რომელიც ჰქონდა ევროპაში ერეკლე II-ის სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეობას სპარსეთსა და სამხრეთ კავკასიაში.

გერმანიაში მე-18 საუკუნეში სექტანტების დევნამ წარმოშვა სეპარატისტული მოძრაობა. ამას მოჰყვა სექტანტების გადასახლება ამერიკასა და რუსეთში. ამ მოძრაობის მეთაურთა აგიტაციით გერმანიაში მშვიდობიანობის ხანა დამთავრდა და თავს უნდა ვუშველოთ სამშობლოდან ამერიკაში ან კავკასიაში გადასახლებითო. ამავე დროს საქართველოში გერმანელთა ჩამოსახლება იქ არსებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ვითარებამაც განაპირობა, ძირითადად ნაპოლეონის ომებმა და მიწების სიმცირემ.

**სეპარატისტებმა ამისათვის შესაფერისი დრო შეარჩიეს – 1816 წელს შტუტგარტში გზად გაიარა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა, რომელსაც სექტანტებმა კავკასიაში დასახლების ნებართვა სთხოვეს. ჯერ კიდევ საქმე საბოლოოდ არ იყო მოგვარებული, როდესაც 1817 წელს 7 ათასი სექტანტი კავკასიისაკენ გამოემართა. კოლონისტებს უაღრესად მძიმე პირობებში მოუხდათ მგზავრობა. დასასახლებელი ადგილის მიცემამდე ისინი როდესაც შეჩერდნენ, სადაც უნდა დალოდებოდნენ დასახლებული ადგილების მიცემას, მაგრამ აქ მათ დიდი უბედურება დაატყდათ თავს – სახადით დაავადდნენ და კოლონისტების თითქმის ნახევარი დაიღუპა.**

კოლონისტების პირველი ჯგუფი თბილისს 1817 წლის სექტემბერში მოადგა. საბოლოოდ 1817-1818 წლებში თბილისის გუბერნიაში გერმანელთა 8 კოლონია შეიქმნა: **მარიენფელდი** – სართიჭალაში; თბილისის კოლონია სოფელ **კუკიაში** (სოფელი კუკია თბილისს მიეკუთვნა 1824 წელს, ახლანდელი დავით აღმაშენებლის გამზირი); **ალექსანდერსდორფი** დიდუბეში (ახლანდელი სამტრედიის ქუჩის მიდამოები); **პეტერსდორფი** – მარიენფელდის მახლობლად; **ელიზაბეტტალი** ქვემო ქართლში (დღევანდელი ასურეთი); **ეკატერინენფელდი** ბოლნისთან; **ანენფელდი** და **ელენენდორფი** თბილისის გუბერნიის ელიზავეტპოლის მაზრაში, რომელიც 1868 წელს თბილისის გუბერნიას გამოეყო და ცალკე გუბერნიად გადაკეთდა. ამდენად ანენფელდისა და ელენენდორფის გერმანული კოლონიები 1868 წლის შემდეგ საქართველოში აღარ შედიოდა.



**ანზორ თოთაძე**

(გაგრძელება იქნება)

## ქართველები – XIX საუკუნის ალბომიდან










# სიყალბე, ყველგან სიყალბე!

## სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე 30 პირია დაკავებული!

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, საქართველოს პროკურატურასთან კოორდინაციით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 7 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე დააკავეს და პასუხისგებაში მისცეს 30 პირი.**

გამოძიების ფარგლებში გამოვლენილია უკანონო სამეწარმეო საქმიანობის 3 ფაქტი. ბრალდებულები შიდა ქართლის, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის და კახეთის რეგიონებში, შესაბამისი ნებართვისა და ლიცენზიის გარეშე, ასევე სალიცენზიო პირობების დარღვევით, ახორციელებდნენ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასა და რეალიზაციას. აღნიშნულ ფაქტებზე მხილებულია 6 პირი, მათგან 4 დაკავებულია.

**პირველ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა გორის მუნიციპალიტეტში, მდინარე დიდი ლიახვის კალაპოტში, შესაბამისი ლიცენზიის გარეშე, უკანონოდ მოიპოვა 9 163.35 მ³ ქვიშა-ხრეში, რამაც გარემოს 138 050.75 ლარის ზიანი მიაყენა.**

**მეორე სისხლის სამართლის საქმეზე დადგინდა, რომ იმერეთის რეგიონში ბრალდებულებმა სასარგებლო წიაღისეულის უკანონო მოპოვების ფაქტის შენიღბვის მიზნით დაამზადეს 3 443 000 ლარის ღირებულების პროდუქციის შესყიდვის ამსახველი ყალბი დოკუმენტები. ასევე, მდინარე რიონის კალაპოტიდან 1 346 371მ³ წიაღისეულის უნებართვო მოპოვებით, გარემოს 19 561 423 ლარის ზიანი მიაყენეს.**

**მესამე სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა გურჯაანისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში უნებართვოდ მოიპოვეს 144 793 მ ქვიშა-ხრეში. დანაშაულის დაფარვის მიზნით გამოყენებული იყო ყალბი საგადასახადო დოკუმენტაცია. გარემოს მიყენებულმა ზიანმა 2 172 502 ლარი შეადგინა.**

**ჯამში, უკანონოდ მოპოვებულია 1 500 327 მ³ სასარგებლო წიაღისეული, ხოლო გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა 21 871 975 ლარი შეადგინა.**

**გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე, 194-ე, 210-ე, 218-ე და 299-ე მუხლებით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 12 წლამდე ვადით.**

**ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გამოვლენილია ჯგუფურად სახელმწიფოს კუთვნილი მიწების თაღლითურად დაუფლების არაერთი ფაქტი.**

**მთლიანობაში, ბრალდებულები თაღლითურად დაეუფლნენ 20 194 კვ.მ. სახელმწიფო მიწას, რომლის საერთო ღირებულება 2 141 042 ლარს შეადგენს. მიმდინარეობს მიწების სახელმწიფოსთვის დაბრუნების პროცედურები.**

**აღნიშნულ საქმეებზე გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 362-ე მუხლებით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.**

საგამოძიებო სამსახური აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას დანაშაულებრივი სქემების სრულად გამოვლენისა და მასში მონაწილე სხვა პირების იდენტიფიცირების მიზნით. **უწყება მკაცრ რეაგირებას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გარემოსთვის ზიანის მიყენების ნებისმიერ ფაქტზე.**




## დაკავებულია ორსული მეუღლის მიმართ ჩადენილი მძიმე დანაშაულებისთვის

**პოლიციის თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პიროვნითი მსჯავრის ქვეშ მყოფი 1992 წელს დაბადებული გ.ტ. წინასწარი შეცნობით ოჯახის ორსული წევრის მიმართ ჩადენილი მუქარის, ძალადობისა და გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს.**

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულმა თელავის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში მეუღლის, 1991 წელს დაბადებულ ზ.ო.-ს მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარა და ფიზიკური ძალადობა განახორციელა, ასევე ძალადობით და ძალადობის მუქარით სქესობრივი კავშირი დაამყარა.

კომპლექსურად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა გ.ტ. ბრალდებულის სახით დააკავეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 137-ე, 126 პრიმა, 11 პრიმა 151-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## შემზარავი მკვლელობის ახალი დეტალები

### რას ამბობენ ადგილობრივები!

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში მომხდარი მკვლელობის საქმეზე დამატებითი დეტალები ხდება ცნობილი. არსებული ინფორმაციით, 23 წლის ახალგაზრდა მამაკაცმა მეზობელს ცივი იარაღით დაზიანებები მიაყენა, რის შედეგადაც ის ადგილზე გარდაიცვალა.**

ბრალდებული შემთხვევის შემდეგ ადგილიდან მიიმალა და, წინასწარი ინფორმაციით, თვითდაზიანებებიც მიიყენა. ადგილობრივების განცხადებით, ახალგაზრდა მამაკაცი დიდ დროს ატარებდა კომპიუტერთან და აქტიურად თამაშობდა კომპიუტერულ თამაშებს. სამართალდამცველებმა ამოიღეს მისი კომპიუტერული მოწყობილობა და ტელეფონი, რომლებიც ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი.

დაკავებულის მამა ადასტურებს, რომ მისი შვილი თითქმის მუდმივად კომპიუტერთან იყო, თუმცა რა ტიპის თამაშებს თამაშობდა, მისთვის უცნობია. მისი თქმით, დანაშაულის შემდეგ ახალგაზრდა ტყეში გაიქცა, სადაც სამართალდამცველებმა იპოვეს – მას ვენები ჰქონდა გადაჭრილი. ასევე, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია სისხლიანი ტანსაცმელი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბრალდებულმა მეზობლად მცხოვრებ, 1968 წელს დაბადებულ პირს საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული ჭრილობების შედეგად დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. დანაშაულის იარაღი – დანა – ნივთმტკიცებად არის ამოღებული. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს და 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## აჭარაში ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი თურქეთის ორი მოქალაქე გამოიჭირეს!

**პოლიციამ აჭარაში ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – 1998 წელს დაბადებული უ. ი. და 1992 წელს დაბადებული უ.ჰ. სხვადასხვა დროს დააკავა.**

თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ უ.ი. – განზრახ მკვლელობის, ხოლო უ.ჰ. დამნაშავის მიერ საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის დარღვევის ბრალდებით ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნებოდნენ. სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ორივე მათგანი აჭარაში სხვადასხვა დროს დააკავეს. ამჟამად დაკავებულების მიმართ კანონით გათვალისწინებული საექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

## მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უცხო ქვეყნის 41 მოქალაქე დააკავეს

**უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისსა და ბათუმში სპეციალური საიმიგრაციო კონტროლის ღონისძიებები ჩაატარეს.**

შსს-ს ინფორმაციით, კომპლექსური ღონისძიებების შედეგად დაკავებულია უცხო ქვეყნის 41 მოქალაქე, მათ შორის თურქეთის, თურქმენეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის, ალჟირის, ჩინეთის, უზბეკეთის, იემენის, იორდანიისა და ერაყის მოქალაქეები.

**„ჩატარებული ღონისძიებების ფარგლებში დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გადამოწმდა კონკრეტული ლოკაციები და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები, რაც მიზნად ისახავდა საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა გამოვლენას. დადგინდა, რომ დაკავებული პირები ქვეყანაში იმყოფებოდნენ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნათა დარღვევით. ამჟამად დაკავებულები მოთავსებული არიან მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში“.**

## მსახიობ ჰანდე ერჩელზე დაკავების ორდერი



**სტამბოლის მთავარი პროკურატურის მიერ ჩატარებულ ნარკოგამოძიების ფარგლებში, 16 პირის დაკავების ორდერი გამოიცა, მათ შორისაა საფეხბურთო კლუბ „ბეშიქთაშის“ ყოფილი პრეზიდენტი ფიკრეტ ორმანი, ჰაკან საბანჯი, ქერიმ საბანჯი, დიდემ სოიდანი, გუზიდე დურანი და მსახიობი ჰანდე ერჩელი.**

სტამბოლის მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ დაკავების ორდერი გაიცა სულ 16 ეჭვმიტანილის მიმართ, რომლებსაც ნარკოტიკული ნივთიერებები მოხმარების ან მოხმარების ხელშეწყობის მიზნით აღმოაჩნდათ. სტამბოლის ნარკოდანაშაულების გამოძიების განყოფილების ჯგუფების მიერ ეჭვმიტანილების დასაკავებლად 16 მისამართზე ჩატარებული ერთდროული ოპერაციის ფარგლებში გამოცხადდა, რომ 14 ეჭვმიტანილი დააკავეს. დაპატიმრების ორდერი გაიცა შემდეგ პირებზე: **ფიკრეტ ორმანი; გუზიდე დურანი; ჰაკან საბანჩი; ქერიმ საბანჩი; ჰანდე ერჩელი; ბურაკ ელმასი; სეზგინ კიოისურენი; ფერჰათ აიდინი; ლუთფიე თუღჩე ოზბუდაკი; კორაი სერენლი; ონურ ბუქჩუ; ისმაილ ბეჰრამ პერინჩეკლი; კაან მელარტი; დიდემ სოიდანი; ონურ ტალაი; მუსტაფა ტარი.**

2025 წლის 8 ოქტომბრიდან სტამბოლის მთავარი პროკურატურის მიერ ცნობილი ადამიანების წინააღმდეგ ნარკოტიკებთან დაკავშირებული გამოძიების ფარგლებში მრავალი ოპერაცია ჩატარდა. **სულ 26 ადამიანი დააკავეს.**

# ჯვაროსანი ოქროსმაძიებელნი



**პრაღაში დაწყებული ფიგურისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი ფავორიტის სტატუსით გახლავთ ჯვაროსანთათვის მადლმოსილი, რადგან ზურგს მილანი-კორტინას ზამთრის ოლიმპიადაზე მოპოვებული ისტორიული წარმატება გვიმაგრებს.**

საყოველთაოდ აღიარებული სპორტული ჭეშმარიტება გვამცნობს, რომ ტიტულის მოხვეჭაზე უფრო რთული მისი დაცვაა, ამიტომ იტალიური ფორუმის გმირთა სრიალს ჩეხურ ყინულზე ოპტიმიზმის პარალელურად გარკვეულწილად მღელვარებითაც ველოდით. როგორც ტურნირის სასტარტო დღემ გვიჩვენა, სრულიად უსაფუძვლოდ. მოკლე პროგრამაში ჩვენი გუნდიდან პირველი კომპოზიციის წარდგენის პატივი წილად ევროპირველობების ყველა სინჯის მედლის მფლობელს **ანასტასია გუბანოვას** ხვდა და მანაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა სტაბილურობასა და უმაღლეს კლასში – მე-6 ადგილით უპრობლემოდ გავიდა ფინალში და ლოგიკური ამბიციით შეუტევს კვარცხლბეკს. კიდევ უფრო შთამბეჭდავი და სარეკორდო პირადი შედეგით გასხივოსნებული გახლდათ კონტინენტის მოქმედ გვრგვინოსანთა და თამაშების ვიცე-ჩემპიონთა – **ლუკა ბერულავასა** და **ანასტასია მეტელკინას** წყვილის მოკლე პროგრამა. მათ მიერ დაკავებული მე-2 ადგილი და გერმანელ ლიდერებთან მხოლოდ 0,33-ქულიანი ჩამორჩენა მშვენიერი ტრამპლინია პირველი ქართული ოქროსაკენ!

**26-27 მარტს ღამის თავისუფალ პროგრამაზე – მორიგ ნომერში...**

## რეკორდის შემდეგ (79,45 ქულა)

**ლუკა ბერულავა: „ეს ჩვენი პირადი რეკორდი იყო, სეზონის საუკეთესო შედეგი. ეს საოცარი მომენტია ჩემთვის და ჩემი მეწყვილისთვის. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ოლიმპიურ თამაშებზე გვეჩვენებინა, რისი გაკეთება შეგვიძლია. ძალიან ბედნიერები ვიყავით, რომ ამის გაკეთება შევძელით. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის იმის ჩვენება, თუ რამდენად გაიზარდა ფიგურული სრიალი საქართველოში და რომ შეგვიძლია ეს სპორტი წინ წავწიოთ და ყველას ვაჩვენოთ, რომ ჩვენთან მაღალი დონეა. ძალიან, ძალიან გვიხარია, რომ მთელი საქართველო გვიყურებდა და გვიჭერდა მხარს და ამისთვის ძალიან მადლიერები ვართ“.**

**ანასტასია მეტელკინა: „როდესაც პატარა ვიყავი, ოლიმპიური მედლის მოგებასა და ოლიმპიურ თამაშებზე წასვლაზე ვოცნებობდი. ხალხი მეუბნებოდა, რომ ეს ძალიან რთულია, რომ მილიონში მხოლოდ ერთს შეუძლია ამის მიღწევა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ოცნებაზე არასდროს მითქვამს უარი. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მეწყვილე ლუკას, რადგან ის ერთადერთია, ვინც არასდროს მეუბნებოდა: „შენ გიჟი ხარ“, არამედ მეუბნებოდა: „დიახ, ჩვენ ამ მიზნისკენ მივისწრაფვით“. ბავშვობაში შენს ოცნებებში ცხოვრობ და საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეს“.**

# სჯობს გვიან!..



**მაშინ, როცა თვალუწვდენელ ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობით ვიწონებთ თავს, რატომღაც გაგვიჭიანურდა ცისქვეშეთთან სპორტული თანამშრომლობის დაწყება, არადა ისიც ფაქტია, რომ ორმხრივად სასარგებლო გამოცდილების გაზიარება აუცილებლად წაგვადგება მიღწევათა გამრავლებაში. თუმცა, ხომ იცით, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.**

ჰოდა, მომავალ წარმატებათა პრიზმაში უაღრესად მნიშვნელოვნად გვესახება საქართველოს სპორტის მინისტრის **შალვა გოგოლაძის** ვიზიტი მეგობარ სახელმწიფოში, სადაც საპატიო სტუმარი ადგილზე გაეცნო იქაურ ულტრათანამედროვე ინფრასტრუქტურას, მოწინავე საწვრთნელ პროცესსა და კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა შემდგომ მჭიდრო ურთიერთობათა გასაღრმავებლად.

**მოკლედ, ყინული დაიძრა!**

# ომახიანად დავხურეთ



**თბილისში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაზე პარაძიუდოში, ფინალურ ბლოკში რევაზ ჩიკოიძემ (J1,-95კგ) ოქროს მედალი მოიპოვა, ზვიად გოგოჭური კი ვერცხლის პრიზიორი გახდა.**

გოგოჭურმა ტრავმის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა ფინალურ შეხვედრაში, რომელშიც ის ჩიკოიძეს უნდა შეხვედროდა.

ტურნირში 27 ქვეყნის 187 პარაათლეტი მონაწილეობდა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარაძიუდოს ნაკრებმა ტურნირის პირველ დღეს ერთი ოქროს და სამი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. საბა ბაღდავაძემ (J1, -81 კგ) ოქროს მედალი მოიხვეჭა, ხოლო ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ ზურაბ ზურაბიანი (J2, –70 კგ), გიორგი გამჯაშვილი (J1, –70 კგ) და ლევან გუგავა (J2, –81 კგ).

# იქნებ, მეოთხედ?..

**ერთ-ერთ ამასწინანდელ ტელეგადაცემაში ლაშა ტალახაძე ოჯახურ ინტერიერში ვიხილეთ, სადაც კითხვაზე – რამდენად რეალურია სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა 2028 წელს ლოს ანჯელესში მე-4 ტიტულს შეუტიოს, ნახევრად ხუმრობით უპასუხა – თუ მე-4 შვილს გამიჩენს, მე-4 თამაშებიც იქნებაო – და ღიმილით მეუღლეს გადახედა.**

ვიდრე ტრავმებით გატანჯული საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი და პარლამენტის წევრი საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, ბათუმი 19-26 აპრილს მეორედ უმასპინძლებს შტანგისტთა ევროპის ჩემპიონატს, სადაც ჯვაროსნები რკინას ასეთი შემადგენლობით შეებმებიან:

**კაცები** – გოდერძი ბერდელიძე, რამინ შამილიშვილი (60 კგ), არჩილ მალაყმაძე (79 კგ), ზურაბ მსხალაძე, მანუჩარ გოგოხია (88 კგ), ირაკლი გობეჯიშვილი, საბა ასანიძე (94 კგ), ირაკლი ჩხეიძე, გურამ ვეკუა (110 კგ), ბაქარ თურმანიძე (+110 კგ).

**ქალები** – მირანდა ჩუტკერაშვილი (69 კგ), ნანა ხორავა (77 კგ), ნათია გადელია, მარიამ მურღვლიანი (86 კგ), ანასტასია გოტფრიდი (+86 კგ).




# პრესტიჟულ ფესტივალზე




**საფრანგეთის საკურორტო ქალაქი ვიში აპრილში 18-წლამდელ მორაგბეთა 6 ერის ფესტივალს ზედიზედ მესამედ უმცროს ბორჯღალოსანთა მონაწილეობით უმასპინძლებს, რომლებმაც საბრძოლო ნათლობა 2024 წელს ორგანიზატორებთან გამარჯვებით და 2 მარცხით დაასრულეს, ხოლო შარშან სამივე შეხვედრა მძაფრი წინააღმდეგობის მიუხედავად დათმეს.**

ამჯერად ჩვენი გუნდი პრესტიჟულ ტურნირზე განახლებული სამწვრთნელო შტაბით მიდის: **გიორგი ნემსაძე** (მთავარი მწვრთნელი), შალვა მამუკაშვილი (აუტის მწვრთნელი), ირაკლი ყიასაშვილი (შეტევის მწვრთნელი), ასევე ძველები მიხეილ სუჯაშვილი (შერკინების მწვრთნელი) და პაატა მაისურაძე (დაცვის მწვრთნელი).

რაც შეეხება კალენდარს, 3 აპრილს „ლე ბლეს“ უახლოეს რეზერვს ვეთამაშებით, 7 აპრილს – ინგლისსა და 11 აპრილს – შოტლანდიას.

**და ბოლოს:** 26 რჩეული ხვალ მას შემდეგ დასახელდება, რაც შევარდენის სანაკრებო ბაზაზე დასკვნით შეკრებას შემდეგი 34-წევრიანი გაფართოებული შემადგენლობა დაასრულებს:

**მერაბიშვილი, გიორგობიანი, სუთიაშვილი, გვრიტიშვილი, მამაიაშვილი, ლაგვილავა, ჭაკუა, დათუნაშვილი (ლელო), ბარბაქაძე, ბიზიკაშვილი, გაგუა, მახარაძე, მგალობლიშვილი, ცხვედიანი (ხვამლი), კახელი, გოგრიჭიანი, ღუდუშაური, ხარებავა, ბერუაშვილი (ლოკომოტივი), ჯინჭველაშვილი, ქევანიშვილი, ლიპარტელიანი, ხამაშურიძე, მუშკუდიანი (აია), ბერძენიშვილი, ხონელიძე (ტულონი), ფანცულაია, ჯანგულაშვილი (არმია), გამყრელიძე (აკადემია), ჭეფხოძე (რაშები), მგალობლიშვილი (არმაზი), ბერიძე (ბათუმი), მიკუჩაძე (ყოჩები), კუპრეიშვილი (ფოთი).**

# ქართველთა ევროლიგა

**თორნიკე შენგელიას გამოჯანმრთელებამ ბარსელონას სულზე მოუსწრო, რადგან ევროლიგის რეგულარული სეზონის ფინიშამდე 5 ტურით ადრე სატურნირო ცხრილში იშვიათი სიმჭიდროვეა და პლეი-ოფის საგზურებისთვის გაჩაღებულ უმძაფრეს ბრძოლაში თითოეული ქულა ოქროდ ფასობს.**

**ბარსელონა-ეფესი 78:71**

**თორნიკე შენგელია**: 14 ქულა, 8 მოხსნა, 3 ასისტი, 1 ჩაჭრა 26 წუთში, სარგებლიანობის კოეფიციენტი 25 და MVP-ის ტიტული.

ჩინებულ სერიას განაგრძობს **მანუჩარ მარკოიშვილის** გაწვრთნილი მონაკო, რომელმაც ქართველის თავკაცობით ზედიზედ მე-3 მატჩი შინ მილანთან 90:85 მოიგო.

წარმატებას მიაღწია ჩვენი მე-3 თანამემამულის – **ანდრია ანთელაძის** ასისტენტობით მოთამაშე კაუნასის ჟალგირისმაც საკუთარ დარბაზში მიუნხენის ბაიერნთან – 78:71.



ასე რომ, „ქართული“ კლუბები ინარჩუნებენ წინსვლის შანსს.

**სატურნირო მდგომარეობა:** ფენერბახჩე – 10, ოლიმპიაკოსი, რეალი, ვალენსია, ჰაპოელი – 12, ჟალგირისი, მონაკო, პანათინაიკოსი, ბარსელონა, ცრვენა ზვეზდა – 14, დუბაი, მაკაბი – 16, მილანი– 17, ვირტუსი – 19, პარტიზანი, ბაიერნი – 20, პარიზი – 21, ეფესი 23, ბასკონია – 24, ლიონი – 25 წაგება.

# მარიამ ღვთისმშობლის აკატისტო-დაუჯდომლის შაბათი

**28 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მარიამ ღვთისმშობლის დაუჯდომელს – „აკატისტოს“ იხსენიებს.**

...ცნობილია, რომ იესო ქრისტეს, მარიამ ღვთისმშობლისა და წმინდანების სავედრებელი საგალობლები ჩვეულებისამებრ ფეხზე დგომით სრულდება. თავდაპირველად დაუჯდომელი მხოლოდ ღვთისმშობლის საგალობელს ერქვა (მის შექმნას სავარაუდოდ, VI-VIII საუკუნეს მიაწერენ), შემდეგ კი მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და ქრისტეს, წმინდანთა და დღესასწაულთა საგალობლებსაც ეწოდა.

ქართულ საგალობელთაგან (ორიგინალურ) ასეთია, მაგალითად, სვეტიცხოვლის დაუჯდომელი.

რაც შეეხება ღვთისმშობლის აკატისტოს, ის პირველად XI საუკუნეში უცნობმა მთარგმნელმა თარგმნა, რომელიც ამ საგალობელს მიაწერს ცნობილ ბიზანტიელ ჰიმნოგრაფს რომანოზ მგალობელს.

* * *

**დიდმარხვის მეხუთე შვიდეულში ღირსი მარიამ მეგვიპტელის ხსენების დღეა.**

29 მარტს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდმარხვის მეხუთე კვირას იხსენიებს ღირს მარიამ მეგვიპტელს. ...ცნობილია, რომ ახალგაზრდა და გამოუცდელი მარიამი 17 წლის განმავლობაში ცოდვებში ცხოვრობდა, სანამ მოწყალე უფალმა იგი სინანულად არ მოაქცია.

მარიამ მეგვიპტელი გახდა მკაცრად მოღვაწე, თავისი გული სულ წმიდის სუფთა ტაძრად აქცია!



იორდანეს წმიდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში მცხოვრები ბერი ზოსიმე, ღმრთის განგებით, უდაბნოში ღირს მარიამთან შეხვედრას ეღირსა, როდესაც მარიამი უკვე ღრმა მოხუცი იყო. ასე იქცა ღირსი მარიამი უდიდესი ცოდვილიდან უდიდეს წმინდანად და მონანიების ასეთი ნათელი მაგალითი დაგვიტოვა.

**გიული ლიპარტია**

## მშვიდობით, კოლეგა!

# გიორგი (გია) პაპუაშვილი



**70 წლის ასაკში თვალსაჩინო მწერალი და ჟურნალისტი გიორგი (გია) პაპუაშვილი გარდაიცვალა.**

**სხვადასხვა დროს მუშაობდა რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, საქ. რადიო-ტელეკომიტეტში, ჯერ – რადიოს, შემდეგ კი ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურების პროდიუსერად. ასევე, ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამების წამყვანად და მთავარ რედაქტორად; ხელმძღვანელობდა ტელევიზიის ხალხური შემოქმედების მთავარ რედაქციას, იყო ავტორი და ხელმძღვანელი სატელევიზიო პროექტისა „საქართველო არის ესე“. როგორც სცენარისტმა, რეჟისორმა და ოპერატორმა 80 ისტორიულ-ეთნოგრაფიული დოკუმენტური ფილმი გადაიღო.**

**2004-2017 წლებში რედაქტორობდა ლიტერატურულ-ეთნოგრაფიულ გაზეთ „რაეოს“.**

**ჟურნალისტური მოღვაწეობის პარალელურად გიორგი პაპუაშვილი წერდა მოთხრობებს. პირველი მოთხრობა „გაზაფხული, შემოდგომა და ძაღლი“ დაიბეჭდა ჟურნალ „ნობათში“.**

**ამ დროიდან მოყოლებული, მისი კრიტიკული წერილები ქვეყნდებოდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, ცენტრალურ თუ რეგიონულ პრესაში, ლიტერატურულ ჟურნალებში.**

**მიღებული ჰქონდა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრემია ფილმისათვის – „გზა შინისაკენ“. იყო საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, არაერთი ლიტერატურული და ჟურნალისტური პრემიების ლაურეატი.**

**გიორგი პაპუაშვილის გამოსვენება შედგება კვირას, 29 მარტს, 14:00 საათზე, მისამართი: დიღომი 9, ნიკოლოზ ბერაძის მეორე ჩიხი, მეორე სახლი (თბილისი მოლის უკან).**

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ემჯი ჰოლდინგი“, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გოჩა დუმბაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონის პირობები:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გოჩა დუმბაძე (პ/ნ 61006036149), ბათუმი, ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი, ჩიხი მე-4, N3

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ბათუმი, ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი, ჩიხი მე-4, N3 მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობასთან ერთად (საკადასტრო კოდი: 05.36.25.038)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 62019.71 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 30 მარტი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 15 აპრილი, 14:15 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP125118926; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1251189)

**8. მოვალე:** გოჩა დუმბაძე (პ/ნ 61006036149), ბათუმი, ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი, ჩიხი მე-4, N3;

გრიშა დუმბაძე (პ/ნ 61006001112), ბათუმი, ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი, ჩიხი მე-4, N3

ნერიმან მიქელაძე (პ/ნ 61001037894), ბათუმი, ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი, ჩიხი მე-4, N3

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2026 წლის 15 აპრილის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ემჯი ჰოლდინგში“, მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

# 2028–2029 სასწავლო წელს სახელმწიფო უნივერსიტეტებში სტუდენტთა მიღების კვოტები გაორმაგდება



**საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2028-2029 სასწავლო წელს სახელმწიფო უნივერსიტეტებში სტუდენტთა მიღების კვოტები გაორმაგდება, ვინაიდან მე-11 და მე-12 კლასების მოსწავლეები სკოლებში სწავლას ერთდროულად დაასრულებენ,** – ინფორმაციას ამის შესახებ განათლების სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, 2028-2029 სასწავლო წლისთვის სახელმწიფო უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები სტუდენტების ოდენობაც გაიზრდება.

**„ცვლილება ასევე შეეხება მაგისტრატურის საფეხურს – რადგან საბაკალავრო პროგრამების უმეტესობა 3-წლიანი სწავლების მოდელზე გადავიდა, 2027-2028 სასწავლო წელს საბაკალავრო პროგრამებს დაასრულებს როგორც 2024, ისე 2025 წელს ჩარიცხული სტუდენტების უდიდესი ნაწილი. შესაბამისად, 2028-2029 სასწავლო წლისთვის სახელმწიფო უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები სტუდენტების ოდენობაც გაიზრდება.**

**შეგახსენებთ, რომ რეფორმის ფარგლებში იცვლება ზოგადი განათლების საფეხურის ხანგრძლივობა. სკოლის საშუალო საფეხურის ხანგრძლივობა განისაზღვრება X-XI კლასებით. მე-12 კლასი იქნება არჩევითი და მსურველებს, წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე, შესაძლებლობა ექნებათ, სწავლა გააგრძელონ მე-12 კლასში.**

**მე-11 კლასელებისთვის სკოლებში უზრუნველყოფილი იქნება ორგანიზებული რეპეტიტორიუმი, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, სრულფასოვნად მოემზადონ ეროვნული გამოცდებისთვის. აღნიშნული სიახლე შეეხება მოსწავლეებს, რომლებიც ახლა მეცხრე კლასში სწავლობენ“,** – ნათქვამია განათლების სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ემჯი ჰოლდინგი“, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მალხაზი ბაგაევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონის პირობები:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მალხაზი ბაგაევ (პ/ნ 20801075919), ახმეტის რაიონი, სოფელი ფიჩხოვანი, პირველი ქუჩა N10

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ახმეტის რაიონი, სოფელ ფიჩხოვანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 3700კვ.მ (საკადასტრო კოდი: 50.09.36.308)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 13359.12 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 30 მარტი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 15 აპრილი, 14:00 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის #71271HZP125118326; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1251183)

**8. მოვალე:** მალხაზი ბაგაევ (პ/ნ 20801075919), ახმეტის რაიონი, სოფელი ფიჩხოვანი, პირველი ქუჩა N10

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2026 წლის 15 აპრილის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ემჯი ჰოლდინგში“, მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

# განცხადება

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს **მარიამ კვარაცხელიასთან,** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: **ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N10, ბინა 28,** მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2024 წლის 16 სექტემბერს გარდაცვლილი მოქალაქე იური ფესენკოს (დაბადებული 1965 წლის 11 მაისს (პ/ნ: 61004053538) გარდაცვალების მოწმობა N77247007809)) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში, თბილისის ქუჩა N9-ში, საცხოვრებელი სახლის მე-2 სართულზე არსებული ბინა N6-ის 19,20 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის (ს/კ: 20.48.01.522.01.006) უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: **ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N10, ბინა 28.**

# „ახალი სიცოცხლე სამშვილდეს“!

**ნაქალაქარი, რომელსაც პოტენციალი აქვს, გახდეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ტურისტული ადგილი, – სწორედ ამ მიზნით, საზოგადოებრივმა გაერთიანებამ „მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის“ დაიწყო საინფორმაციო კამპანია – „ახალი სიცოცხლე სამშვილდეს“.**



კამპანიამ სტარტი სამშვილდის ნაქალაქარში აიღო. „მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის“ სპეციალურად მოწვეულმა მეგზურებმა – არქეოლოგმა გოდერძი ნარიმანაშვილმა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ყოფილმა ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ანთიძემ, მედიატურის მონაწილეებს საქართველოს უდიდესი ნაქალაქარი დაათვალიერებინეს და ტერიტორიაზე ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

**სტუმრები ადგილზე გაეცნენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ, რამდენიმე წლის წინ შექმნილ სამუშაო გეგმას, რომელიც სამშვილდის ნაქალაქარის ძლიერ ტურისტულ ცენტრად განვითარებას ითვალისწინებს. კამპანიის მიზანი საზოგადოების ფართო ფენებისთვის სამშვილდის ნაქალაქარის ისტორიის, მისი დღევანდელი პრობლემებისა და ტურისტული პოტენციალის უკეთ გაცნობაა.**

„მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის“ კამპანია „ახალი სიცოცხლე სამშვილდეს“ (ხელმძღვანელი **ნინო ბურჭულაძე**). პირველი აქტივობა არ არის. ორგანიზაცია სამშვილდის ნაქალაქარს 2017 წლიდან იცავს, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ კომპანია „ხრამის კასკადი“ მდინარე ხრამის ხეობაში კასკადური ჰესების აშენებას გეგმავდა. კომპანიასთან ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად მოიხსნა ჰესის ე.წ. მე-5 საფეხური, რითაც თავიდან იქნა აცილებული ძეგლის დაზიანების თუნდაც მცირედი რისკი. **შემდგომში ორგანიზაციის აქტივისტები აქტიურად ითხოვდნენ სამშვილდის ნაქალაქარში სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას. 2017-2019 წლებში მოძრაობა „კულტურული მემკვიდრეობისთვის“ ინიციატივით, სამშვილდეში არქეოლოგიური ექსპედიციის სამუშაოებს კომპანია „არემჯი“ აფინანსებდა.**




# საფრანგეთის ქალაქ ლილში იწყება აუდიოვიზუალური ნაწარმოებების სერიალების ფორმით ერთობლივი წარმოება

**საფრანგეთის ქალაქ ლილში, საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე ხელს მოაწერს ევროპის საბჭოს კონვენციას – „აუდიოვიზუალური ნაწარმოებების სერიალების ფორმით ერთობლივი წარმოების შესახებ“.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ქართულ საპროდიუსერო კომპანიებს ექნებათ მეტი შესაძლებლობა: **მოიზიდონ უცხოური ინვესტიციები; ჩაერთონ საერთაშორისო მაღალბიუჯეტიან პროექტებში; ითანამშრომლონ ევროპულ პლატფორმებთან და ტელეარხებთან.**

ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო გააძლიერებს საქართველოს ინტეგრაციას ევროპულ შემოქმედებით სივრცეში და ხელს შეუწყობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას მსოფლიოში.

# საქართველოს მწერალთა სახლი – ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე

**19-22 მარტს საქართველოს მწერალთა სახლი, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ლაიფციგის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე ეროვნული სტენდითა და 70-მდე გამოცემით წარდგა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, მწერალთა სახლის ლიტერატურული პროგრამა მოიცავდა გერმანულ ენაზე თარგმნილი ქართველი ავტორების წიგნების წარდგენას, თარგმანების პრეზენტაციებსა და დისკუსიებს, შეხვედრებს ქართველ ავტორებთან. ბაზრობის ფარგლებში გაიმართა **მზია ჭიჭიაშვილის** წიგნის **„მე ეს უნდა მეთქვა“** წარდგენა, რომელიც მწერალთა სახლის ხელშეწყობით გამოიცა.

მწერალთა სახლმა გამართა **ლევან ბერიძის** რომანის **„როგორც შენ იტყვი“** პრეზენტაცია. დისკუსიას უძღვებოდნენ გამომცემელი **ტრაიან პოპი,** მთარგმნელი და პოეტი **გიორგი ლობჟანიძე** და მთარგმნელი **მზექალა აჯაიძე.**

გაიმართა გერმანულ ენაზე თარგმნილი ქართული კლასიკური მოთხრობების ანთოლოგიის **„ზარი ქარიშხალში“** წარდგენა.

ქართული პროზის ღონისძიებაზე აუდიტორიას წარუდგინეს **ლევან ბერიძის** რომანი **„როგორც შენ იტყვი“** და **ნოდარ მაჭარაშვილის** წიგნი **„კვაზიმოდოს ქალაქი“.**

პოეზიის საღამოზე წარდგნენ პოეტები: **ნინია სადღობელაშვილი, ირმა ბერიძე, გიორგი ლობჟანიძე, ია სულაბერიძე** და **გიო ზედვაკელი.**



გაიმართა **ნოდარ მაჭარაშვილის** რომანის **„კვაზიმოდოს ქალაქი“** პრეზენტაცია. წიგნი საერთაშორისო აუდიტორიას წარუდგინეს გამომცემელმა **ჰელმუტ კუნკელმა** და მთარგმნელმა და პოეტმა **გიორგი ლობჟანიძემ.**

მწერალთა სახლის სარეზიდენციო და საგრანტო პროგრამები წარადგინეს მწერალთა სახლის დირექტორმა **ქეთევან დუმბაძემ** და საერთაშორისო პროექტების მენეჯერმა **მაკო ქიბროწაშვილმა.**

# გრძელდება მცხეთის ჯვრის მონასტრის დიდი ტაძრის ინტერიერის საკონსერვაციო სამუშაოები

**კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, მცხეთის ჯვრის მონასტრის დიდი ტაძრის ინტერიერის საკონსერვაციო სამუშაოებს ახორციელებს.**

ხსენებული სააგენტოს ინფორმაციით, სამუშაო პროცესს ადგილზე გაეცნო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე **თამარ ყურაშვილი.**

საკონსერვაციო სამუშაოების ზედამხედველობა-მონიტორინგის მიზნით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოწვევით, საქართველოში იმყოფება საერთაშორისო ექსპერტი **საიმონ კრისტოფერ გაი ვარაკი.**

**მონიტორინგი მოიცავს საკონსერვაციო სამუშაოების მეთოდოლოგიური სისწორისა და შესრულების ხარისხის კონტროლს, ასევე საკონსერვაციო სამუშაოების საერთაშორისო სტანდარტებთან და პრინციპებთან თავსებადობის უზრუნველყოფას.**



კონსერვაციის ფარგლებში შესრულდება შემდეგი სამუშაოები: **ტაძრის ინტერიერის ქვის მთლიანი ზედაპირის გასუფთავება და დამუშავება-კონსოლიდაცია; გადაუდებელი პრევენციული საკონსერვაციო სამუშაოები ინტერიერში ფრაგმენტულად შემორჩენილი კედლის მხატვრობის შენარჩუნებისთვის; სარკმლების დაზიანებულ მონაკვეთებზე გადაუდებელი პრევენციული სამუშაოები; ინტერიერში არსებული ადრინდელი ჩარევების დროს ცემენტის ხსნარით შევსებული ადგილების გასუფთავება; ქვის მცირე ზომის ნაკლული ნაწილების და გასუფთავებული ადგილების არმირება და შევსება; მაკრობზარების, მიკრობზარების, ნაკერების, ქვებს შორის გამოფიტული სივრცეების ამოვსება-ინექტირება; დამუშავდება ქვის წყობაში არსებული ლითონის ჩანართების ხილული ნაწილები; იატაკის ქვის ნაკლულ მონაკვეთებზე ჩატარდება გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოები.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქოზულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქოზულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „ფავორიტში“
აბელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 30 მარტს**